ორგანიზმის უჯრედებში მიმდინარე პროცესების მეცნიერული შესწავლა, მათი მუშაობის ოპტიმიზაციისთვის სპეციალურად შედგენილი ინდივიდუალური ველნეს პროგრამები, ქვეყნის ბუნებრივი ენერგეტიკისა და მრავალფეროვანი ბიოაქტიური რესურსის გამოყენება და გაზომვადი შედეგები, სამედიცინო კურორტ „ბიოლს“ მსოფლიოში უნიკალურს და ინოვაციურს ხდის.

ინოვაციურია ისიც, რომ საქართველოში პირველად დარეგისტრირდა ახალი საერთაშორისო სპეციალობა – ველნეს თერაპევტი, ხოლო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა შესაბამისი მაგისტრატურა.

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურორტი „ბორჯომი“ მდებარეობს ზღვის დონიდან 850 მ-ზე. იგი ცნობილია მსოფლიოში სახელგანთქმული მინერალური წყლით, რასაც დადებითი ეფექტი აქვს კუჭ-ნაჭლავთა პროფილაქტიკის დროს. კურორტ „ბორჯომში“ სულ ახლახანს ამოქმედდა თანამედროვე სტანდარტების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ბორჯომი პალასი“. აღნიშნულ კომპლექსში უახლესი აპარატურით აღჭურვილ სადიაგნოსტიკო კაბინეტებში ტარდება სხვადასხვა გამოკვლევები (ულტრასონოგრაფია, კუჭისა და ნაღვლის წვენის გამოკვლევა, ღვიძლისა და ნაწლავების პერისტალტიკის გასაუმჯობესებელი პროცედურები და სხვ.), ფუნქციონირებს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი სპა ცენტრი, უახლესი აპარატურით აღჭურვილი კოსმეტოლოგიური კაბინეტი და სხვ. მხოლოდ „ბორჯომი პალასში“ არის სპა კაფესულა, რომელიც გულისხმობს მინერალური წყლით, რძით, თაფლით, გვირილისა და ორკბილას ნაყენით, ღვინის ექსტრაქტით ჰიდრო თერაპიას, ჰიდრო მასაჟს, ელექტროტალახის პროცედურებს და სხვ.

ჯერ კიდევ მეფის რუსეთის, შემდეგ საბჭოთა კავშირის პერიოდში „სამხედრო ჰოსპიტალი“, შემდგომში „სამხედრო სანატორიუმი“, ამჟამად „ბორჯომი პალასი“ კარგად ფლობდა და ფლობს კურორტული მკურნალობის მეთოდებს. „ბორჯომი პალასის“ სლოგანია „რელაქსაცია სულისა და გონებისთვის“ [6].

კურორტ „ბორჯომის“ უნიკალური კლიმატისა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ხელშეწყობით საუკეთესო პირობები იქმნება დასვენების, მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის.

თბილისიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, 115 კილომეტრში, კახეთის ისტორიულ რეგიონში, მდებარეობს „ლო-

პოტასპარეზორტი“ – კავკასიის მთებით გარშემორტყმული „ლოპოტას“ ხეობის პატარა სამოთხე, რომლის რეკრეაციული ზონა მილიონობით კვადრატულ მეტრს მოიცავს [7].

აქ თითოეული სეზონი თავისებურად უნიკალურია. ეს არის იდეალური ადგილი რელაქსაციისთვის, ლოპოტას ტყის სპა უნიკალური საშუალებაა განტვირთვისა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურებისთვის. ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ტარდება შემდეგი სახის პროცედურები: სარელაქსაციო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მასაჟები, ორგანიზმის გამოცოცხლებისა და ენერჯის აღდგენის პროცედურები, გამაახალგაზრდავებელი თერაპია, სახის მოვლის პროცედურები, გასახლოში, ანტი-ცელულიტური და დეტოქსაციური პროცედურები, წითელი მშრალი ღვინის აბაზანა ზღვის მარილებითა და არომატული ზეთებით, წიწვების აბაზანა, ტროპიკული აბაზანა ბალიდან და ა.შ

2015 წელს საქართველოში ასევე დაიწყო მსოფლიო დონის, პრემიუმ კლასის სარეკრეაციო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის „Wellness Clinic MEDI“-ის მშენებლობა, ოზურგეთის დაბა ურეკში. ურეკის გამაჯანსაღებელი კომპლექსის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ აქ არის მაგნიტური სამკურნალო ქვიშა. ურეკის მიდამოებში აღინიშნება მომატებული მაგნიტური ველი, რაც ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორად არის აღიარებული.

ზემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო ველნეს კურორტები უზრუნველყოფენ [8, გვ.130]:

- აქტიური, სრულყოფილი ცხოვრების წესს;
- სასიცოცხლო ძალების სწრაფ და ხარისხიან აღდგენას;
- კვებას ინდივიდუალური რაციონით;
- ყველა ადამიანის ფიზიოლოგიაზე მოქმედი ფაქტორის გამოყენებას: კლიმატოთერაპიას, მინერალური წყლებს, სამკურნალო ბალახებს და აბაზანებს, ღვინოთერაპიას, ტალახით მკურნალობას, მაგნიტური ქვიშის, ზღვის აბაზანებს, მცენარეულ ფლავონოიდებს (ანტიოქსიდანტებს) და წყალმცენარეებს;
- ორგანიზმის დეტოქსიკაციას უახლესი ტექნოლოგიებით;
- ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას (მეხსიერების, შრომისუნარიანობის აღდგენას და ა.შ.);
- ინდივიდუალურად შერჩეულ ფიზიკურ დატვირთვას: ცურვას, სამთო სათხილამურო

სპორტს, სამკურნალო ფიზკულტურას, მასაჟს, სეირნობას და ა. შ.

- კანის სწორ მოვლას;
- ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიას.

დასკვნა

საქართველო მსოფლიოში უნიკალური ადგილია სამკურნალო რესურსების მრავალფეროვნებით, რაც საშუალებას იძლევა, შეიქმნას და წარმატებით იფუნქციონიროს სამედიცინო ველნეს კურორტებმა. იმედაა, სულ მოკლე ხანში საქართველომსოფლიოში ასოცირდება, როგორც სამედიცინო ველნეს კურორტების ქვეყანა და ლიდერობასაც მოიპოვებს ამ მიმართულებით;

სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამედიცინო ველნეს კურორტები არის მსოფლიოში უახლესი მიმართულება, რომელშიც საქართველოს უდავოდ დიდი პრიორიტეტი გააჩნია თავისი ბუნებრივი მრავალფეროვნებით, რესურსული თუ ადამიანური პოტენციალით, თავისი კულტურით, განსაკუთრებული ფოლკლორით და ა.შ. ველნეს ინდუსტრიის ამ ახალმა მიმართულებამ სწრაფად რომ მოიკიდოს ფეხი საქართველოში, აუცილებელია, რომ იმ კურორტებს, რომლებიც ველნეს ტექნოლოგიებს გამოიყენებს და საერთოდ, სამედიცინო ველნესის მიმართულებით იმუშავენ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოეხსნას მოგების გადასახადი, მიწის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, სანამ ისინი არ იქცევიან ქვეყნის ბრუნდ კოდად და შეძლებენ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას;

ეკონომიკური ეფექტი, რასაც მოუტანს საქართველოს სამედიცინო ველნეს კურორტების ქვეყნად ჩამოყალიბება, შემდეგია:

- სამედიცინო ველნეს კურორტების ამო-

ქმედებით საქართველო შევა მსოფლიოს ელიტურ ველნეს ინდუსტრიის ქვეყნების შემადგენლობაში;

- მოხდება ქვეყნის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით;

- გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს და მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური კაპიტალის დაბანდებს საქართველოში, რაც გამოიწვევს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან გაერთიანებას;

- მოხდება მსოფლიოს მაღალშემოსავლიანი ადამიანების მოზიდვა;

- პროპაგანდა გაეწევა ჯანმრთელობის ახალ კულტურას, რაც იქნება ინტელექტუალური დისტრიბუცია;

- ველნეს ინდუსტრია მოითხოვს ადამიანის მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალს, რაც გაველნას მოახდენს მთლიანად ერის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდაზე;

- გაიზრდება შემოსავლები და შემონატანები;

- განვითარდება ინფრასტრუქტურა;

- შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები;

- პოზიტიური მიმართულებით შეიცვლება ეკოლოგია;

- გაიზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (მეფუტკრეობა, მეღვინეობა, მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ჩაის წარმოება);

- გაიზრდება მოთხოვნა სუვენირებსა და ხალხური რეწვის პროდუქციაზე;

- გაიზრდება მომსახურების ისეთი დარგების გამოყენება, როგორცაა: ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, დაზღვევა და საბანკო საქმიანობა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, საინფორმაციო-სარეკლამო, ტურისტული და ტუროპერატიული და სხვა;

- განვითარდება კურორტოლოგია.

ლიტერატურა:

1. Halbert Dunn. High level Wellness. 1961, .www. Icaa.cc
2. Paul Zane Pilzer, The new Wellness Revolution, New York, 2011.
3. Kvesitadze, G., Khatishashvili, G., Sadunishvili, T, Ramsden, J.J. Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants. Basis of Phytoremediation. 262 pages. Springer, 2006.
4. G. Erkomaishvili, R.Gvelesiani, E. Kharaishvili, M. Chavleishvili, Policy of Tourism and Opportunities of Development of Wellness Industry in Georgia. International Conference on Economics, Management of Business and Technology. World Academy of Science, Engineering and Technology, Dubai, UAE., 2014
5. www. Bioli.ge
6. www. borjomipalace.ge
7. www. lopota.ge
8. **ერქომაიშვილი გ.**, საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორი-ტეტული მიმართულებები. თბილისი, „უნივერსალი“, 2016. [Erkomaishvili G., Economic Policy Priorities for Development of Georgia. Tbilisi, „Universal“, 2016].

ტურისტული ბიზნესი რეგიონის ღონეშეს აუსილებლად უნდა განვითარდეს



გოდერძი შანიძე,
ბიზნესისა და მართვის დოქტორი
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

GODERDZI SHANIDZE,
Doctor of Business and Management
Associated Professor, Kutaisi University

ანოტაცია

საქართველოს რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია შესაბამისი პოტენციის მქონე რეგიონებში ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. სახელმწიფოსთან ერთად მნიშვნელოვანია სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების ჩართულობა ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობი ღონისძიებების შემუშავებაში.

იმერეთის რეგიონში სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც აქტიურად დაიწყო მონაწილეობა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების ჩამოყალიბებაში. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ქუთაისის უნივერსიტეტმა შიდასაუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მოახდინა ტურისტული ბაზრის კვლევა და ქ. ქუთაისის თვითმართვლობისთვის რეკომენდაციების შემუშავება. 2015 წლის თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით ანკეტის საშუალებით გამოიკითხა 1012 უცხოელი ტურისტი.

იმისთვის, რომ ტურისტი უფრო მეტი ხნით დარჩეს რეგიონში და უფრო მეტი ფინანსები დახარჯოს, მნიშვნელოვანია ახალი ტურისტული ობიექტების გამოვლენა და პოპულარიზაცია, საერთაშორისო ღონისძიებების, ფესტივალების მოწვობა, მომსახურების სერვისის გაუმჯობესება და ა.შ.

ქ. ქუთაისში ტურისტების ვიზიტის დროს ძირითადი აქტივობებია: ბუნების მონახულება, ეროვნული სამზარეულოს დაგემოვნება და ისტორიული ღირშესანიშნაობების დათვალიერება ქალაქსა და მის შემოგარენში. ტურისტი საშუალოდ მხოლოდ 150-200 ლარს ხარჯავს ქუთაისში ვიზიტის დროს, ძირითადად სასტუმროს და კვების ხარჯებში.

კვლევის შედეგად მოხდა რეკომენდაციების შემუშავება და ქ. ქუთაისის მერიისთვის შეთავაზება.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული ბიზნესი, კვლევის შედეგები, ტურისტის ხარჯები, ტურისტის ძირითადი აქტივობები, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ქ. ქუთაისის ტურისტული პოტენციალი, რეკომენდაციები.

TOURIST BUSINESS SHOULD BE DEFINITELY DEVELOPED AT THE LEVEL OF THE REGION TOO

Annotation

Developing tourism and its infrastructure in the regions of the appropriate potential is the main supporting factor for regional development in Georgia. Together with the state it is important to involve scientific institutions in working out activities that support tourist business.

In Imereti region together with the state structures educational institutions began an active participation in developing activities supporting tourism development. A clear example is that Kutaisi University made a tourist market research in the frames of grant inside the university and worked out a recommendation for the Kutaisi government. From February 2015 to August 1012 foreign tourists filled the questionnaire.

In order to make tourists stay longer and spend more in the region it is important to identify new tourist destinations and their popularisation, arrange international activities and festivals, improve the service and etc.

While visiting Kutaisi the main tourist activities are the following: to see the nature, to taste national cuisine and to visit historical sights in the city and its surroundings. A tourist spends on

average 150 -200 laris during the stay in Kutaisi mainly on accommodation and food. Due to the research results a recommendation was worked out and offered to the Kutaisi government.

Key words: *tourist business; research results; tourists costs; the main tourist activities; National Tourism Administration; tourism potential of Kutaisi; Recommendations*

შესავალი

ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა საკმაოდ აქტუალური საკითხია თანამედროვე პირობებში. უნდა ითქვას, რომ ცენტრალური ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას უცხოვლი ტურისტებისთვის ჩვენი ქვეყნის წარმოჩენას უთმობს, ეს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი მომენტია, თუმცა უფრო მეტი არის გასაკეთებელი რეგიონის დონეზე ტურისტული ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად.

კვლევის მიზანი იყო, ნათელი გამეხადა, რამდენად მნიშვნელოვანია რეგიონის დონეზე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების ჩართულობა სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობი ღონისძიებების შემუშავებაში და იმის დანახვა, რომ ტურისტული ბიზნესი რეგიონის დონეზეც აქტიურად უნდა განვითარდეს.

დასახული ამოცანა ითვალისწინებდა იმერეთის რეგიონში არსებული ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებას და უცხოელი ტურისტების გამოკითხვას. შესაბამისად, მიღებული შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებას და ქ. ქუთაისის თვითმართველობისთვის გადაცემას.

2015 წელს ქუთაისის უნივერსიტეტის შიდა საგრანტო პროექტის ფარგლებში მოხდა ტურისტული ბაზრის კვლევა ქ. ქუთაისისთვის და რეკომენდაციების შემუშავება, სტატისტიკური ავტორი გახლდით ამ საგრანტო პროექტის ერთ-ერთი მონაწილე. კვლევისას გამოვიყენე ანკეტით გამოკითხვისა და ანალიზის მეთოდები.

სახელმწიფოს როლი ტურისტული ბიზნესის განვითარებაში.

ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე მთავრობის სხვა სტრუქტურებთან ერთად, უსათუოდ ზრუნავს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. მისი, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოს მისიაა, გაზარდოს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, ცნობადობა საერთაშორისო

ბაზარზე, უზრუნველყოს ქვეყანაში როგორც შემოყვანის, ისე შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება, ხელი შეუწყოს ტურიზმის ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, უზრუნველყოს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია და ძლიერი ბრენდის ჩამოყალიბება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრიორიტეტული მიმართულებებია:

— საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაცია სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობების საშუალებით (გამოფენები, პრესტურები, სარეკლამო კამპანიები და სხვა);

— მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

— ტურისტული ღირსშესანიშნაობების (ბუნებრივი და კულტურული) სათანადო კონკურენტუნარიანი ფასის მქონე ტურისტულ პროდუქტად შეფუთვა;

— ქვეყნის მასშტაბით ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.; [1. გვ.20]

საქართველოს რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია

შესაბამისი პოტენციის მქონე რეგიონებში ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ მიმართულებით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ძირითადად იმერეთის რეგიონის ტურისტულ პოტენციალზე. ტურიზმის განვითარებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონების გაძლიერებასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველოში დიდი პოტენციალი და რესურსები არსებობს. ტურიზმის სხვა დარგებზე დამოკიდებულების გამო საჭიროა, შესაბამისი სექტორების განვითარების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები.

მდგრადი ტურიზმის რეგიონული განვითარებისთვის შესწავლილ უნდა იქნას ტურიზმის განვითარებისთვის ქვეყანაში არსებული პოტენციალი და რესურსები რეგიონების მიხედვით. საჭიროა, დეტალურად ადინუსხოს არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტები (შენობა-ნაგებობები), აგრეთვე ტურიზმის ცალკეული დარგების (ეკო-ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რეკრეაციული და ა.შ.) განვითარებისთვის რეგიონებში არსებული ბუნებრივი და სხვა სახის რესურსები და ამ ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნას მონაცემთა შესაბამისი ბაზა.

რეგიონებში არსებული რესურსების შესახებ საინფორმაციო ბაზის გამოყენებით უნდა შემუშავდეს, გრძელვადიანი სტრატეგია ტურიზმის დარგის კომპლექსური განვითარებისთვის. საჭიროა, შემუშავდეს შესაბამისი მექანიზმები ტურიზმის სექტორის დივერსიფიცირებისა და შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებას ქვეყანაში.

ქვეყანაში ტურისტული ნაკადის ზრდის უზრუნველსაყოფად უნდა შემუშავდეს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის შესაბამისი პირობები, მათ შორის: საგზაო ტურისტული ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება; ტურისტულ ობიექტებზე დაშვების წესის საინფორმაციო დაფების განთავსება და ა.შ. იმერეთის რეგიონში შეინიშნება ამ მიმართულების მოწესრიგება, რაც მისასალმებელია.

საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს და ამკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას. ისეთი მაღალი ტურისტული და საკურორტო პოტენციალის მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, იკვეთება ტურიზმის პრიორიტეტულობის შემდეგი კრიტერიუმები:

- ტურიზმის ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი;
- მოსახლეობის დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა;
- რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების რეზერვების არსებობა;
- ეკონომიკის სხვა დარგების (ტურიზმის მომიჯნავე დარგები) განვითარების სტიმულირება და სხვა. [1. გვ., 25]

რეგიონის დონეზე ქუთაისის უნივერსიტეტის ჩართულობა ტურისტული ბაზრის კვლევაში.

იმერეთის რეგიონში სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც აქტიურად დაიწყო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ქუთაისის უნივერსიტეტმა შიდასაუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მოახდინა ტურისტული ბაზრის კვლევა ქ. ქუთაისისთვის და რეკომენდაციების შემუშავება.

2015 წლის თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით ანკეტის საშუალებით გამოიკითხა 1012

უცხოელი ტურისტი, მათ შორის:


104 ტურისტი — თებერვალში

400 ტურისტი — მაისი-ივნისში

508 ტურისტი — ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოში. [2. გვ., 36]

ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი შედეგები სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა ჩვენ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ ზამთრის პერიოდში ქუთაისში დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა 3-4 დღეს შეადგენს (2 ან 3 ღამის გათვლა), ზაფხულში კი — 2 დღეს (1 ღამის გათვლა), რაც ზაფხულში ტურისტების მთიანი რეგიონებისკენ და ზღვისკენ მიდრეკილებით არის განპირობებული. გამოკითხულთა საქართველოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა კი 7-9 დღეა.


ქუთაისში დარჩენის ხანგრძლივობა



წყარო: ქუთაისის უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები. 2015 წ.

ტურისტების ქ. ქუთაისში ვიზიტის დროს ძირითადი აქტივობებია: ბუნების მონახულება, ეროვნული სამზარეულოს დაგემოვნება და ისტორიული ღირშესანიშნაობების მონახულება ქალაქსა და მის შემოგარენში.

ძირითადი აქტივობები ვიზიტის დროს



წყარო: ქუთაისის უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები. 2015 წ.

კვლევის შედეგები

ტურიზმიდან შემოსავლები ქალაქის ეკონომიკაზე ჯერჯერობით მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს, ტურისტების მოკლევადიანი ვიზიტების, გართობა-სანახაობრივი ღონისძიებების, მუზეუმების ნაკლებობის გამო, თუმცა შესაძლებელია, რომ თუკი ტურისტების მოთხოვნის შესაბამისად განვითარდება არსებული ტურისტული პოტენციალი, მაშინ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღება შეუძლია არა მარტო ქალაქის, არამედ რეგიონის ეკონომიკასაც. ტურისტი საშუალოდ მხოლოდ 150-200 ლარს ხარჯავს ქუთაისში ვიზიტის დროს, ძირითადად სასტუმროს და კვების ხარჯებში. მუზეუმებიდან ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული, თუ კულტურული სანახაობებიდან შემოსავლები ფაქტობრივად არ არის, ხოლო კაფე-ბარების და კლუბების შემოსავლები მცირეა.

თუმცა ტურისტების უმეტესობა თვლის, რომ ქუთაისსა და მის შემოგარენში ვიზიტმა გაამართლა და ამიტომ, მათი 98% რეკომენდაციას გაუწევს ნაცნობ-მეგობრებს ეწვიოს ქუთაისს და მის შემოგარენს. გამოკითხულთა 66% უახლოეს წლებში შესაძლოა, კვლავ ესტუმროს ქუთაისს, ხოლო 23% აუცილებლად ეწვევა.

დამსვენებელთა ის ჯგუფი, რომლებიც უკმაყოფილოები არიან, მიზეზებს შორის ასახელებენ: ქუჩების რემონტით გამოწვეულ დისკომფორტს, გადაადგილების საშუალებების/ტრანსპორტის მოუწესრიგებელ მოძრაობას, გართობის ნაკლებობას. [2. გვ.36] იმ ვიზიტორთა შორის, რომლებიც არ აპირებენ სამომავლოდ დაბრუნებას, ყველაზე პოპულარული ფაქტორია ის, რომ ისინი დასასვენებლად ყოველთვის სხვადასხვა ქვეყნებს და ადგილებს ირჩევენ.

ტურისტები აღნიშნავენ ადგილობრივი ტრანსპორტისა და ტურისტული სანახაობების (ბილეთები) სიიაფეს. ზოგადი შეფასებით, ტურისტებისთვის არეალი სიიაფით გამოირჩევა და ეს მათ კეთილგანწყობაზე დადებითად მოქმედებდა.

ანკეტებში რესპონდენტებს შეეძლოთ საშუალოდ დახარჯული თანხების მითითება შემდეგ დასახელებებზე: ადგილობრივი ტრანსპორტი, საკვები – რესტორანი, განთავსება (სასტუმრო), ტურისტული სანახაობები, შოპინგი. მხოლოდ ნაწილმა მიუთითა თანხები. გასაშუალებული სიდიდეებით, დადგინდა შემდეგი მიახლოებითი დღიური ხარჯები: ტრანსპორტი – 40 ლარი; განთავსება – 80 ლარი;

საკვები. რესტორანი – 30 ლარი; ტურსანახაობები – 25 ლარი; შოპინგინი – 20 ლარი, რაც ჯამში 195 ლარია.

რეგიონის ღონეზე მდგრადი ტურიზმის განვითარება უნდა ექვემდებარებოდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ გეგმას. ღონისძიებები გათვლილი უნდა იყოს: ეკონომიკურ მიზნებზე (შემოსავლების ზრდა, ღონისძიებათა დივერსიფიკაცია, ინტეგრაცია, კონტროლი, დარაიონება და ა.შ.) სოციალური მიზნებზე (სიღარიბის დაძლევა, შემოსავლების სწორად განაწილება, აუთენტური სოციალურ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება, ადგილობრივი მოსახლეობის (თემის წარმომადგენლების თანამონაწილეობა და ჩართულობა); ეკოლოგიურ მიზნებზე (ეკოტურიზმის ფუნქციის დაცვა-შენარჩუნება, ბიომრავალფეროვნების მდგრადი განვითარება და ა.შ.) ტურიზმის განვითარების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება დიდი პასუხისმგებლობაა, როგორც სამთავრობო ისე, კერძო სექტორისთვის.

სამთავრობო სექტორი პასუხისმგებელია შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა და აწარმოოს კვლევა. ხელი შეუწყოს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და ტურისტული ატრაქციების გამრავალფეროვნებას, იზრუნოს გარემო პირობების გაუმჯობესებაზე, საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

კერძო სექტორი პასუხისმგებელი უნდა იყოს შემდეგი სახის ღონისძიებების გატარებაზე, მაგ., როგორცაა: განთავსების საშუალებები, კვების ობიექტები, ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება და ა.შ.

ტურისტულმა სააგენტოებმა, ფირმებმა უნდა იზრუნონ ტურისტული ატრაქციების განვითარებაზე, ხელი შეუწყონ ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო ბაზარზე და მარკეტინგული ღონისძიებების გატარებას.

ტურიზმის მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია ადამიანური რესურსის განვითარება. კვალიფიციური ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს ხარისხიანი მომსახურების შეთავაზებას, ამიტომ, პერმანენტულად უნდა იქნას გამოკვლენილი საჭიროებები. საშტატო ერთეულისთვის სისტემატურად უნდა ხდებოდეს ტრენინგ მოდულების შეთავაზება, მოხდეს მათი გადაძაბება და ა.შ.

მარკეტინგული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უნდა შეიქმნას მასტიმულირებელი პროგრამები. მარკეტინგული აქ-

ტივობები განხილულ უნდა იქნას სამთავრო-ბო და ადგილობრივი სტრუქტურების, კერძო სექტორების ღონეზე, რადგან დადებითი იმი-ჯის მოპოვება ტურიზმის ახალ სექტორში პოტენციური ტურისტული ბაზრის შესახებ ძალზედ მნიშვნელოვანია.

დასკვნა

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქვეყნის ტურისტული იმიჯის განმტკიცებასთან ერთად, აქტიურად უნდა მოხდეს რეგიონის ღონეზე ტურისტული ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარება. ასეთ დროს ადგი-ლობრივი მთავრობისა და სასწავლო-სამეც-ნიერო დაწესებულებების ერთობლივი მუშაო-ბა საკმაოდ მომგებიანი ხდება.

ჩვენს შემთხვევაში ქუთაისის უნივერ-სიტეტის შიდა საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ და რეკომენდაციების ქ. ქუთაისის მერიისთვის გადაცემამ რეალური სურათი გამოავლინა: თუ რა სიტუაციაში უხდებათ უცხოელ ტურ-ისტებს მოგზაურობა, ქვეყანაში მთლიანი მოგზაურობიდან რამდენ ხანს დაჰყოფენ უშუ-ალოდ რეგიონში, რა ძირითად აქტივობებს ეწევიან და ა.შ. რაც სახელმწიფოს მხრიდან უფროდ მნიშვნელოვანი გასათვალისწინე-ბელი კომპონენტებია ტურისტული ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებისას.

იმისთვის, რომ ტურისტი უფრო მეტი ხნით დარჩეს რეგიონში და უფრო მეტი ფინანსები დახარჯოს, მნიშვნელოვანია ახალი ტურისტ-

ტული ობიექტების გამოვლენა და პოპულარ-იზაცია, საერთაშორისო ღონისძიებების, ფეს-ტივალების მოწეობა, მომსახურების სერვისის გაუმჯობესება და ა.შ.

კვლევის შედეგად მოხდა რეკომენდაციების შემუშავება და ქ. ქუთაისის მერიისთვის შეთ-ავაზება. ეს რეკომენდაციებია:

სარეკომენდაციო წინადადებები

აუცილებელია ტურიზმის პრიორიტეტ-ული სახეობების გამოვლენა და მათი ფარ-თო რეკლამირება, დამატებით ტურისტული ობიექტების გაჩენა.

ქუთაისის, როგორც საერთაშორისო კონ-ფერენციების, კონგრესებისა და შეხვედრე-ბის ჩატარების რეგიონული ცენტრის იმიჯის ჩამოყალიბების ღონისძიებების გატარება; საინტერესო იქნება ქართული ყველისა და ხაჭაპურის ფესტივალის ჩატარება; უცხოელი ტურისტებისთვის ქართული ფოლკლორის შეთავაზება.

ქუთაისის ტურისტული პროდუქტის ამსახ-ველი სარეკლამო ფილმების მომზადება და განახლებული ვებგვერდების შექმნა.

რეგიონში ტურისტული სამეცნიერო-სა-განმანათლებლო ცენტრის დაფუძნება და დარგისთვის მაღალკვალიფიციური სპეციალ-ისტების მომზადების უზრუნველყოფა.

რამდენადაც შესაძლებელია, რეგიონში (ქუთაისში) შემოსულ ადგილობრივ და უცხო-ელ ვიზიტორთა აღრიცხვიანობის მოწეს-რიგება.

ლიტერატურა:

1. ევროპის კავშირის საერთაშორისო საგრანტო პროექტის “An integrated approach for the sustainability of the tourism production” (Grant contract № 2010/204-103) ფარგლებში მომზადებული ნაშრომი „ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ქალაქ ქუთაისისთვის“. მოცულობა 49 გვ. [Tourism development strategy and action plan for Kutaisi city]
2. ქუთაისის უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მომზადებული ნაშ-რომი „მიმზიდველობიდან ტურისტული შეთავაზებების კონკრეტულ ინტეგრირებულ პაკეტებამდე: ტურიზმის მარკეტინგული გეგმა თვითმმართველი ქ. ქუთაისისა და მისი შემოგარენისთვის“ 2015 წელი. მოცულობა 64 გვ. [“From the Attractors to the Integrated Packages of Tourist Offers (IPOT): Tourism Marketing Plan for Self-government City of Kutaisi and Its Surrounding Areas”].
3. http://gnta.ge/ge/saqarTvelos_turizmis_erovnuli_administracia. [Georgian National Tourism Ad- minisrration]

აგროტურიზმის როლი სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში



რეზო ჯაბნიძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

REZO JABNIDE,

Professors of Batumi Shota Rustaveli Shtate
University

ანოტაცია

აგროტურიზმის მნიშვნელობა დიდია ნები-
სმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.
იგი გვევლინება ეფექტურ საშუალებად, რათა
განაახლოს და გააუმჯობესოს ჩამორჩენილი
სასოფლო-სამეურნეო რაიონები. შექმნას ახა-
ლი სამუშაო ადგილები, გაიზარდოს სამუშაოს
მრავალფეროვნება, მომსახურების დონე და
ცხოვრების პირობები. იგი პირდაპირ ზემოქ-
მედებას ახდენს სასოფლო-სამეურნეო საქმი-
ანობის განვითარებაზე, ხდება ფერმერებისა
თუ სოფლის მოსახლეობის კულტურული ინ-
ფორმაციის მიწოდების გაფართოება, პეიზა-
ჟებისა და ბუნების მოვლა, ხალხური რეწვის
საქმიანობის განვითარება.

აგროტურიზმი ვერ განვითარდება გარემო-
სთან ურთიერთქმედების გარეშე, მაგრამ მისი
განვითარების მართვისა და დაგეგმვის საშუ-
ალებით შესაძლებელია, შემცირდეს ნეგატი-
ური ზემოქმედება და გაიზარდოს დადებითი.
ამასთან, აგროტურიზმი აუმჯობესებს ქვეყნი-
სა თუ რეგიონის ინფრასტრუქტურას, რაც
თავის მხრივ, ხელს უწყობს სხვა ეკონომი-
კური საქმიანობის ზრდას აგრარულ რაიონ-
ებში. საქართველოში აგროტურიზმის გან-
ვითარების კარგი პერსპექტივები არსებობს,
რომელსაც პოზიტიური როლის შესრულება
შეუძლია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარება-



ნატო ჯაბნიძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

NATO JABNIDE,

Asistent Professors of Batumi Shota Rustaveli
Shtate University

ში. მაგრამ საწყის ეტაპზე მას სახელმწიფო
მხარდაჭერა სჭირდება.

საკვანძო სიტყვები: აგროტურიზმი, სოფ-
ლის მოსახლეობა, ეკონომიკური პრობლემე-
ბი, საქართველოს ტერიტორია

PLSNING OF AGRO TOURISM IN GEOR- GIA AND ITS SUSTAINABLE DEVELOPMENT

Abstract

Sustainable tourisms provides fair distribu-
tion of incomes and expenses. Products of agro
tourism should be exported to international mar-
ket mainly by tour agencies because the popula-
tion can not afford direct marketing, financing
the advertisement abroad or purchasing products
on the internet. The existence of tour operation is
necessary. Agro tourist product should be affor-
dable because main motivation of rural tourism is
a relaxation with les comport but environmen-
tally clean and nice atmosphere.

In order to select villages and host for agro
tourism tour agenciesshould have a list of nec-
essary conditions after satisfying of which the
specifichouse will be included in the list of ac-
commodation means. These means include:
Place safety, beautiful nature, landscape. It is

desirable that the house and yard of the peasant had a national image and the following elements of infrastructure: separate sleeping-room, and a toilet. Foreign tourist pay a great attention to the existence of historical building and other sight-seeing in the village. Informational – advertisement material should be prepared by taking consideration of foreign analogues

Keywords: *Agritourism, Rural population, Economic problems, Georgia Territory.*

ტურიზმის მნიშვნელობა დიდია ნებისმიერ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. მის წილად მოდის მსოფლიო შიდა პროდუქტის 10%, ინვესტიციების 11,8%, დასაქმებულთა 10%. ტურისტული ბაზრობისა და სეგმენტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, ხოლო ბოლო პერიოდში ამ სფეროში სტრუქტურული ცვლილებებიც აღინიშნება. ტურისტული ბაზრის სეგმენტთა შორის გაფართოვდა რეკრეაციული და ეკოლოგიური მიზნებით მოგზაურობის მსურველთა რიცხოვნობა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით უახლოესი 15 წლის განმავლობაში ტურისტების მხრიდან მოთხოვნა აგროტურისტულ პროდუქტებზე ათეულში მე-6 პოზიციას იკავებს. საქართველოში აგროტურისტული პროდუქტების მდიდარი რესურსული პოტენციალია და მათ გონივრულ გამოყენებას პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. აგროტურიზმი კულტურულ ტურიზმთან ერთად ტურისტული პროდუქტების მრავალფეროვნების შექმნისა და ეფექტიანი გამოყენების საფუძველია.

აგროტურიზმი იმყოფება მჭიდრო კავშირში გეოგრაფიის ახალ დარგთან – რეკრეაციულ გეოგრაფიასთან, რომელიც შეისწავლის აგროტურიზმის განვითარების ბუნებრივ-გეოგრაფიულ, კულტურულ-ისტორიულ და სხვა პირობებს.

მრავალმა ქვეყანამ გაითავისა აგროტურიზმის ეფექტურობა და ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შემუშავებულ იქნა და წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს აგროტურიზმის განვითარებისა და შენარჩუნების კონცეფციას. მაგალითად, ეს საკითხი, გერმანიის ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება და მისი შესწავლის საგანია. დღეს გერმანელი მოსახლეობისთვის შევსებულების გატარების მთავარი მოთხოვნილება არის დასვენება სოფლის ტერიტორიაზე, სიმშვიდე და რელაქსაცია.

დღითიდღე აგროტურიზმს სულ უფრო

დიდი მნიშვნელობა ენიჭება და იგი ერთ-ერთ პრიორიტეტულ ტურისტულ დარგად გვევლინება ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. სასოფლო ტერიტორიაზე დასვენების მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო თავისებურებებიდან გამომდინარე, სოფლის ტერიტორიების დიდი ნაწილი გამოუყენებელია. ამ მიწების აქტიურად გამოყენება შესაძლებელია აგროტურიზმისთვის (აქვე იგულისხმება ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა).

ყოველივე აქედან გამომდინარე, აგროტურიზმი გვევლინება ეფექტურ საშუალებათ, რათა განაახლოს და გააუმჯობესოს ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო რაიონები. შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაიზარდოს სამუშაოს მრავალფეროვნება, მომსახურების დონე და ცხოვრების პირობები. იგი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებაზე, ხდება ფერმერებისა თუ სოფლის მოსახლეობის კულტურული ინფორმაციის მიწოდების გაფართოება, პეიზაჟებისა და ბუნების მოვლა, ხალხური რეწვის საქმიანობის განვითარება. აგროტურიზმი აუმჯობესებს ქვეყნისა თუ რეგიონის ინფრასტრუქტურას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სხვა ეკონომიკური საქმიანობის ზრდას აგრარულ რაიონებში.

მსოფლიოს გამოცდილება აჩვენებს, რომ იმ რეგიონებში, სადაც განვითარდა აგროტურიზმი, საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პირობები, იმ მოსახლეობისა, რომელიც ცუდი პირობების გამო იზოლირებულია და ცხოვრობს მიყრუებულ სოფლებში. იმ პერიოდში, როდესაც აგროტურიზმმა ზრდა დაიწყო, საკმაოდ რთული იყო აღრიცხულიყო ტურიზმის ამ ნაირსახეობის სტატისტიკა მსოფლიოს მასშტაბებით რადგანაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ცალკეული ქვეყნები ახორციელებენ ისეთ სტატისტიკას, სადაც აგროტურიზმის მონაცემები გამოიყოფა ტურიზმის სხვა სახეთა მონაცემებისაგან.

აგროტურისტული საქმიანობის პერიოდში გარდაუვალია გარემოს ცვლილება. ადრეულ წლებში აგროტურისტული საქმიანობის ანალიზის კვლევებს მცირე ყურადღება ეთმობოდა. თანამედროვე პირობებში გარემოს დაცვის პრობლემასა და მის გაუმჯობესებას თანამედროვე კვლევებში უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. აგროტურიზმი ვერ განვითარდება გარემოსთან ურთიერთქმედების გარეშე, მაგრამ აგროტურიზმის განვითარების მართვისა და დაგეგმვის საშუალებით შესაძლებელია, შემცირდეს ნეგატიური ზემოქმედება და გაიზ-

არდოს დადებითი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველოში სოფლად მოსახლეობის 47,3% ცხოვრობს, ნათელი გახდება, რომ იაფი და სოფლის ცხოვრების წეს-ჩვეულებების მცოდნე შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენებით ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს.

მხედველობაშია მისაღები ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. საქართველოს ტერიტორიის 54,4% ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ამ ტერიტორიების უმეტეს ნაწილზე ინტენსიური აგრარული პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები შეზღუდულია. მთისა და მაღალმთიანი ზონის ეკონომიკურ აღმავლობაში ადგილობრივი არაინტენსიური ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებასა და ტრადიციებს, ფლორასა და ფაუნას, ლამაზ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს აგროტურიზმის განვითარებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. საქართველოს მთიანეთის სამ რეგიონს – აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთს განსხვავებული ტრადიციებით, რესურსული პოტენციალით, სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალით, სოციალურ-ეკონომიკური პირობებით დიფერენცირებული აგროტურისტული პროდუქტების შეთავაზებაც შეუძლიათ მომხმარებლისთვის. ამასთან, მთის რეგიონებისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშან-თვისებების ორიენტაციით კონკურენტული აგროტურისტული პროდუქტების მიწოდება, უკვე შესაძლებელია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის ის სამი პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა საფუძველზე მომავალი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი გაორმაგდება. აღნიშნული სამი პრიორიტეტული მიმართულება მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ურთიერთხემოქმედებას განიცდის. განსაკუთრებით აღსანიშნაველია ტურიზმის, მათ შორის აგროტურიზმის, მულტიპლიკაციური ეფექტი, რომელიც ასტიმულირებს მასთან დაკავშირებულ ისეთ დარგებს, როგორებიცაა: ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა, სამომხმარებლო საქონლის წარმოება, სოციალური სფერო და ა.შ. სწორედ ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგროტურიზმს, რომელიც სოფლის მოსახლეობას არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების

შესაძლებლობას აძლევს.

არსებობს აგროტურიზმის მოდელის ფორმირების ორი კონცეფცია. პირველი კონცეფციის თანახმად, აგროტურისტულ ბიზნესს აწარმოებენ მცირე ფერმერული და პირადი დამხმარე მეურნეობები საკუთარი ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენებით. რა თქმა უნდა, ასეთი დაფინანსების პირობებში ტურისტთა დიდი ნაკადის მოზიდვა, ფაქტობრივად, გამორიცხულია, მაგრამ ეს მოდელი ქმნის აგროტურიზმის განვითარების საფუძველს. მეორე კონცეფცია ითვალისწინებს აგროტურიზმის კომპლექსურ განვითარებას, ანუ სოფელში აგროტურიზმი ხდება ბიზნესის წამყვანი სახე, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტის რეკრეაციულ მომსახურებას სოფლის რესურსების გამოყენების საფუძველზე. ხშირად ეს ორი კონცეფცია ერთი და იმავე პროცესის ორი ეტაპის სახით განიხილება. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში აგროტურიზმი სწორედ ასეთი ეტაპების სახით ვითარდება და მისი განვითარების საწყისი მოტივები ძირითადად სოციალურ ხასიათს ატარებდა, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკა ლოკალური აგროტურიზმის მხარდაჭერაზე იყო გათვლილი. ამის გამო ევროპაში დღესაც აგროტურიზმის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებზეა ორიენტირებული. ასეთი პოლიტიკის აუცილებლობა, როგორც წესი, განპირობებულია ადგილობრივი აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაკარგვითა და სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებაზე გამიზნული რესტრუქტურისაციის აუცილებლობით. შესაბამისად, აგროტურიზმი განიხილებოდა და ახლაც განიხილება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ალტერნატიული სახე, რომელსაც ჩამორჩენილი რეგიონების შემოსავლების უზრუნველყოფა შეუძლია.

აგროტურისტული პროექტი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე უნდა გაითანონ უპირველესად ტურისტულმა ფირმებმა, რადგან სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამის დაფინანსების ან ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის საშუალება. ამ თვალსაზრისით საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი პრიორიტეტები:

1. აუცილებელია აგროტურისტული პროფილის ტუროპერატორის არსებობა. თანახმად არსებული პრაქტიკისა, ქართული ტურისტული ფირმების უმრავლესობა უნივერსალურობისაკენ მიისწრაფვის. მათ არ გააჩნიათ სურვილი, ერთი რომელიმე სეგმენტის სპეციალისტად იწოდებოდნენ, რაც ხელს

უშლის პროფესიონალიზმს და შესაბამისად ტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე მოუშნადელი გადის. მოუშნადე-ბლობაში ვგულისხმობთ უცხოელი ტურისტის მოთხოვნილებების არასრულყოფილად ცოდნას, რის გამოც მიწოდებული პროდუქტი არ შეიცავს მოსალოდნელ მომსახურებას;

2. აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი, რადგან ძირითადი მოტივაცია სოფლის ტურიზმისა არის იაფად, ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა და სასიამოვნო გარემოში დასვენება. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს პირობებში, რადგან დამწეები ბიზნესმენები გატაცებული არიან მაღალპროცენტუიანი მოგების მიღებით;

3. აგროტურიზმისთვის შერჩეულ სოფლებში უნდა ჩატარდეს საინფორმაციო-სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ ადგილობრივ დონეზე. უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობის და მმართველობითი რგოლის მომზადება ტურისტების მისაღებად;

4. აგროტურიზმისთვის სოფლებში კონკრეტული მასპინძლის შერჩევითი ტურისტულ ფორმებს უნდა ჰქონდეთ აუცილებელი პირობების ჩამონათვალი, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ კონკრეტული სახლი შევა განთავსების საშუალებათა ნუსხაში. ეს პირობებია: ადგილის უსაფრთხოება, ლამაზი ბუნება და ლანდშაფტი: ტყის, მდინარის, ტბის ან სამკურნალო წყლის არსებობა; სასურველია, გლეხის კარმიდამოს გააჩნდეს ეროვნული სახე და ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები: ცალკე საძინებელი, საშხაპე და ტუალეტი. მასპინძლის ოჯახში კვების საშუალება, უცხოელი ტურისტები დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლებში ისტორიული ძეგლებისა და სხვა ღირშესანიშნაობის არსებობას, საცხოვრებლის სიახლოვეს რესტორნის, ტავერნის ან ეროვნული კერძების სამზარეულოს არსებობას;

5. გამოცდილების უქონლობის გამო სირთულეს წარმოადგენს აგროტურისტებისთვის სპეციალური პროგრამის შედგენა, რომელშიც გასათვალისწინებელია შემდეგი:

ლიტერატურა:

1. მ. მეტრეველი. ტურიზმი. 2003.
2. ვ. შუბლაძე. ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. შურნ. „ფინანსები“, კვლევითი დეპარტამენტი. 2004.
3. ე. ზარაიშვილი. საქართველოს აგროტურისტული პროდუქტების კონკურენტუნა-რიანობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი 2010.
4. პ. კოლუაშვილი; გ. ჯაფარიძე. სწორი აგრარული პოლიტიკა წარმატების გარანტიაა. სამეცნიერო-საინფორმაციო შურნალი „აგრარული საქართველო. N7, 2015.
5. შ. ჩხეიძე. საქართველოს მოსახლეობისთვის დადგენილი არაადეკვატური საარსებო მინიმუმის შესახებ. სამეცნიერო-საინფორმაციო შურნალი „აგრარული საქართველო. N1. 2016.

სოფელში დამსვენებლები ძირითადად 2-4 კაციანი უცხოელთა ოჯახებია. მათთვის დასვენების ორგანიზებისთვის გასათვალისწინებელია შეთავაზებები ოჯახის თითოეული წევრისთვის ცალცალკე: მამაკაცისთვის ეს შეიძლება იყოს ნადირობა, თევზაობა, ცხენით ჯირითი, თიბვა ქართველ მასპინძელთან ერთად. დიასახლისისთვის ქსოვა, ქარგვა, კერძების მომზადება. სასურველია ბავშვებიანი ოჯახის ჩამოსვლის შემთხვევაში, მასპინძელ ოჯახში იყოს დაახლოებით იმავე ასაკის ბავშვები. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასპინძლების მიერ საკომუნიკაციოდ აუცილებელი უცხო ენის ცოდნას;

6. საინფორმაციო-სარეკლამო მასალების დამზადება უნდა მოხდეს საზღვარგარეთული ანალოგების გათვალისწინებით (კვიპროსი, ბულგარეთი და სხვ.). როგორც წესი, სოფლის ტურიზმის სარეკლამო მასალები უხვად არის ილუსტრირებული გლეხის კარ-მიდამოს ამსახველი ფერადი ფოტოებით, მიმღები რაიონების შესახებ ვრცელი ინფორმაციით, განსაკუთრებით, ადათ-წესებისა და ტრადიციების შესახებ, აგროტურისტული პროდუქტის გასაღების ერთ-ერთი საშუალებაა სპეციალიზირებული ბაზრობები, აგრეთვე ის ბაზრობები, სადაც მომხმარებლებს ჭარბობენ პროფესიონალებს.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივები არსებობს, მაგრამ საწყის ეტაპზე მას სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება და ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში უნდა აისახოს. აგროტურიზმში სახელმწიფო მხარდაჭერა შეიძლება ითვალისწინებდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოთხოვნილებების შესწავლას, აგროტურიზმის განვითარებით დაინტერესებული ოჯახების ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მათ მომზადებას ტურისტების მისაღებად და აუცილებელი პირობების გაცნობას, საერთაშორისო ბაზარზე ტურისტული პროდუქტის რეკლამირებას და სხვა.

THE IMPACT OF EUROINTEGRATION PROCESON THE STATE POLICY IN THE SPHERE OF HIGHER EDUCATION OF UKRAINE



Abstract

Nowadays higher education in Ukraine meets a number of challenges: insufficient funding, a weak connection with the labor market, missing of quality etc. Higher education institutions must be effective to succeed in research, to provide best academic practices and high quality of studies.

The purpose of the paper is to analyze the impact of impact of Eurointegration processes on the state policy in the sphere of the higher education of Ukraine and to determine the ways of adaptation of the best European practices to the the state policy in the sphere of higher education of Ukraine.

Benchmarking is crucial for the whole higher educational system as the method of searching for best practices that enables the achievement of the best results by learning from the others, using their experience and collaborating with them. To be appropriate to the educational system, research methodology includes external benchmarking and benchmarking of processes.

Benchmarking being a part of good governance principle in higher education is valuable research both in Ukraine and internationally (e.g. European Benchmarking Initiative). The benchmarking program boosts quality of Ukrainian higher education system, university strategic profiling and performance improving for ensuring the life-long-learning principles in Ukraine.

Key words: *public administration, mechanisms of public administration, higher education, state policy in the sphere of higher education, reformation of higher education, educational policy, educational benchmarking.*

სანა ვერბიტსკაია,

ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ასპირანტი, ჩერნიგოვი, უკრაინა

ANNA VERBYTSKA,

Postgraduate StudentChernihiv National University of Technology, Chernihiv, Ukraine

АННА ВЕРБИТСКА,

Аспирантка Черниговского Национального технологического университета, Чернигов, Украина

ВЛИЯНИЕ ПРОЦЕССА ЕВРОИНТЕГРАЦИИ НА ГОСУДАРСТВЕННУЮ ПОЛИТИКУ ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ

УКРАИНЫ

Анотация

В настоящее время высшее образование в Украине встречается с целым рядом проблем: недостаточное финансирование, слабая связь с рынком труда, недостаточное качество и т.д. Высшие учебные заведения должны быть эффективными для достижения успеха в области исследований, чтобы обеспечить лучшие академические практики и высокое качество исследований.

Целью статьи является анализ влияния воздействия евроинтеграционных процессов на государственную политику в сфере высшего образования Украины и определение пути адаптации лучших европейских практик в государственной политике в сфере высшего образования Украины.

Сравнительный анализ имеет решающее значение для всей системы высшего образования в качестве метода поиска наилучших практик, что даёт возможность достижения наилучших результатов путем изучения практик других стран, используя свой опыт и сотрудничество с ними. Для того, чтобы соответствовать системе образования, методология исследования включает в себя внешние контрольные показатели и проведение сравнительного анализа процессов.

Бенчмаркинг как часть принципа надлежющего управления в сфере высшего образования является ценным исследованием как в Украине, так и на международном уровне (например, Европейская инициатива бенчмаркинга). Программа бенчмаркинга повышает качество украинской системы высшего образования, университетского стратегического профилирования и производительности для улучшения обеспечения принципов обучения на протяжении жизни в Украине.

Ключевые слова: публичное управление, механизмы публичного управления, высшее образование, государственная политика в сфере высшего образования, реформирование высшего образования, образовательная политика, образовательный бенчмаркинг.

ევროინტეგრაციის გავლენა უმაღლესი განათლების სახელმწიფო პოლიტიკაზე უკრაინაში

ანოტაცია

თანამედროვე პირობებში უმაღლესი განათლება უკრაინაში დგას მრავალი პრობლემის წინაშე: არასაკმარისი დაფინანსება, სუსტი კავშირი შრომის ბაზართან, არასაკმარისი ხარისხი და ა.შ. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები უნდა იყვნენ ეფექტურები წარმატების მისაღწევად კვლევების სფეროში, რათა უზრუნველყონ უკეთესი აკადემიური პრაქტიკა და კვლევების მაღალი ხარისხი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ევროინტეგრაციული პროცესების ზემოქმედების ანალიზი სახელმწიფო პოლიტიკაზე უკრაინაში და სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში საუკეთესო ევროპული პრაქტიკების ადაპტაციის გზების განსაზღვრა უკრაინის უმაღლესი განათლების კუთხით.

უმაღლესი განათლების მთლიანი სისტემისთვის საუკეთესო პრაქტიკის მოძიების მეთოდის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შედარებით ანალიზს, რაც შეიძლება მიღწეული იქნას სხვა ქვეყნების პრაქტიკების შესწავლის, ასევე საკუთარი გამოცდილების გამოყენებისა და მათთან თანამშრომლობის გამოყენების გზით. იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს განათლების სისტემას, კვლევის მეთოდოლოგია თავის თავში მოიცავს გარე საკონტროლო მაჩვენებლებს და შედარებითი ანალიზის ჩატარების პროცესებს.

ბენჩმარკინგი, როგორც უმაღლესი განათლების სფეროს საეკონომიკური მართვის პრინციპის ნაწილი, ღირებულია როგორც უკრაინაში, ასევე საერთაშორისო დონეზე

(მაგ. ბენჩმარკინგის ევროპული ინიციატივა). ბენჩმარკინგის პროგრამა ამაღლებს უკრაინის უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხს, უნივერსიტეტის სტრატეგიულ პროფილირებას ა და მწარმოებლურობას უკრაინაში სწავლების პრინციპების გაუმჯობესებისთვის.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მმართველობა, საჯარო მმართველობის მექანიზმები, უმაღლესი განათლება, სახელმწიფო პოლიტიკა უმაღლესი განათლების სფეროში, უმაღლესი განათლების რეფორმირება, განათლების პოლიტიკა, განათლების ბენჩმარკინგი.

Introduction

The process of getting of the education is the activity to assimilate the material and spiritual cultural values. One of the missions of the education is to form in the young generation the responsible attitude to the preservation and enrichment of historical, scientific and cultural heritage. Education and culture are the focuses of the entire world community. They are the leading factors of social progress and the development of the civilization.

To ensure the global progressive development of the education is important to know the system specific of the education in different countries. These peculiarities are in the models of the education, educational purposes, educational content, forms, types and the quality of the education.

The state policy in the sphere of higher education of Ukraine is aimed at the reformation of the educational field according to the modern trends and the economical facilities of the state to provide human potential development. The mechanisms of public administration play the key role in the area of the implementation of the state policy. Therefore, the analysis of the mechanisms of the public management in the area of higher education is the prospective task.

In the period of dynamic changes in the services' market of state higher education strategic management of universities is of particular importance. The increasing interest for the competitiveness of higher education institutions has become not only a duty but a management standard. Public universities do not have any choice to operate in the global market of educational services, seeking to make their educational offer attractive and able to meet the needs of wider group of stakeholders. Therefore, the strategic benchmarking should be emphasized as the modern method and the tool

contributing to the increasing in the efficiency of the state policy in the field of higher education. For this reason, university authorities are interested in opportunities for improvement in various areas of universities, particularly in the area of strategic management and management accounting.

The Research that are related to the transformations in the education of Ukraine according to the European standards in the education demand new approaches and solutions. The active involving of the **Problem**

The issues publicity to the policy-making process is one of the main ways in the reformation of the system of public management of the higher education in Ukraine. The creation of the efficient system of public management is the prospective task for the modern Ukrainian education. The active position of the academic governance is the factor of the democratization in the higher education administration on the national, system and institutional level.

The increasing globalisation process created new challenges for higher education system, which is facing diversified pressures that impact on its governance management. The university no longer provides great prestige on which higher education can build a successful claim to administrative autonomy. Traditional university governance became a target and the tradition of collegial governance is today considered as an inefficient. Institutions should become more flexible, more autonomous to respond to changes in the organisational environment.

The Research Methodology

Data are gathered through all available channels of information. Specifically, the data are taken from publications by relevant Ukrainian and foreign institutions, from online sources.

Mechanisms of public administration by higher education

Comprehensive development of the higher educational institutions needs more attention from the state in the process of modernization of higher education. Nowadays the dependence of the performance of the higher educational institutions on economic factors increases, resource capacity of study and research increases too. On the one hand, state amounts of financing are not able to cover increasing needs of the higher educational institutions, on the other hand, it is necessary to elaborate effective and transparent mechanisms of regulation of their activities outside the budget [2]. Thus, the social nature of the relations in the sphere of the higher education

and growing dependence of higher educational institutions on economic factors require the formation of the mechanisms of the public regulation that are adequate to the market conditions and the development of a new regulatory state education policy, which would have directed the efforts of the higher education on the consistent improvement of its competitiveness.

In an increasing number of European countries governments are implementing policies to enhance the international competitiveness of universities and promote their role “in the innovation system, economic development, knowledge-based economy and competitiveness of nation-state” [6]. These developments show that a number of European countries moved from the traditional view that all national universities are of similar quality to a new position that promotes a stratified higher education system with a few research universities concentrating significant funding and a number of higher education institutions for provision of mass higher education with limited research capacity. The theme of institutional association will be treated in some detail because there is a recent emergence of policies aiming at consolidating already established institutions using different kinds of association of institutions to increase the overall efficiency of the system and the capacity of the new institutions to become competitive in an international or global scale.

- საკონსულტაციო ცენტრი — სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც შტატში ჰყავს მაღალკვალიფიციური ექიმები მედიცინის მიმართულებათა მიხედვით და შესაბამისი აღჭურვილობა დისტანციური კონსულტაციების, კონსილიუმებისა და სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცედურების ჩასატარებლად, აგრეთვე ექიმების სწავლების ორგანიზებისთვის (სემინარების, ლექციების ჩასატარებლად) ტმქ-ის დაშორებულ სადგურებში;

- სადისპეტჩერო პუნქტი — გამოყოფილი ან ტმქ-ის სხვა ელემენტების შემადგენლობაში მოქმედი სტრუქტურა, რომელიც ასრულებს საკონსულტაციოდ მოთხოვნათა ფილტრაციის, კონსულტაციების დაგეგმვისა

და უზრუნველყოფის, კონსილიუმების ორგანიზების, აგრეთვე საკონსულტაციო ცენტრების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-გავრცელების ფუნქციებს. აგრეთვე შეიცავს ადმინისტრირების სამსახურს, რომელიც ასრულებს ქსელური სტრუქტურის თანხლების ფუნქციებს;

- დაშორებული პუნქტები — საგანგებო წესით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულება, რომლის პერსონალიც უშუალოდ ურთიერთქმედებს პაციენტებთან და ასრულებს სამკურნალო, დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო პროცედურების კომპლექსს.

აუცილებლობის შემთხვევაში ტმქ-ის სტრუქტურაში ვალიდებდა დროებითი უჯრედები, მაგალითად, დაშორებულ სამედიცინო ქვედანაყოფთა კომპლექსი საბრძოლო მოქმედებებისა თუ ტექნოგენური კატასტროფების ადგილებში. ასეთი სადგურები გაიშლება და ჩაირთვება ტმქ-ში ამგვარ ადგილებში წარმოქმნილი ოპერატიული პრობლემების გადაჭრისას წამყვანი ცენტრების სპეციალისტების ჯგუფების გამოყენების მიზნით, ამასთან, ამ სპეციალისტთა დაკარგვის რისკი დაიფანება ნულზე, ხოლო კონსულტაციების მიღება შეიძლება მთელი დღე-ღამის განმავლობაში, სხვადასხვა საათობრივ სარტყლებში დროის სხვაობის გამოყენებით.

ტელესამედიცინო სისტემების აპარატული უზრუნველყოფის სისტემაში გამოიყოფა 4 ძირითადი მდგენელი:

- მულტიმედიური ინფორმაციის გადაცემის ინფრასტრუქტურა;
- საერთო პროფილის კომპიუტერული აღჭურვილობა;
- სპეციალიზებული კომპიუტერული აღჭურვილობა;
- სპეციალიზებული სამედიცინო აღჭურვილობა.

საერთო პროფილის კომპიუტერული აღჭურვილობა გამოიყენება ექიმ-კონსულტანტისა და მკურნალი ექიმის სამუშაო ადგილების ორგანიზებისთვის, აგრეთვე კონფერენც-დარბაზების მოსაწყობად. მის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა არქიტექტურისა და დანიშნულების კომპიუტერები (სამაგიდო პკ, სამუშაო სადგურები, Notebook-ისა და PDA-ს კლასის მობილური და გადასატანი კომპიუტერები, სპეციალიზებული და ჩასაშენი სისტემები). კომპიუტერების გარდა, აქ შედის სხვადასხვა პერიფერიული აღჭურვილობა — BKC კოდები, ვიდეოკამერები, აუდიოსისტემები, სხვა-

დასხვა დიჯიტალიზაციები და პრინტერები.

ტელესამედიცინო ქსელებში გამოსაყენებლად იდეალურად გამოდგება სპეციალიზებული სამედიცინო აღჭურვილობა, რომელსაც აქვს აკუსტიკური უკუკავშირი ექიმთან, აგრეთვე ჩაშენებული ქსელური მხარდაჭერა. კარდიოლოგიისთვის ეს შეიძლება იყოს ანგიოგრაფიული დანადგარები და სხვადასხვა ექოგრაფები, პულმონოლოგიაში — ბრონქოსკოპები, გასტროენტეროლოგიაში — გასტროსკოპები, დერმატოლოგიასა და ენდოსკოპიაში — დერმატოსკოპები და ვიდეოკამერები ენდოსკოპიური ბუნიკებით. ასევე ეს შეიძლება იყოს ფართო პროფილის დიაგნოსტიკური აღჭურვილობა — ულტრაბგერითი კვლევის აპარატები, MRI-ტომოგრაფები, მიკროსკოპები, სტეტოსკოპები და სხვა აღჭურვილობა.

ტელემედიცინის განვითარება მსოფლიოში

სპეციალისტთა წარმოდგენებით, ტელემედიცინა რჩება უპირველეს ყოფლისა დისტანციურ დიაგნოსტიკად, თუმცა მისი პოტენციური შესაძლებლობები გაცილებით ფართოა. ქსელური ტექნოლოგიები იძლევა ავადმყოფობის ისტორიის დოკუმენტური გადაცემის საშუალებას ავადმყოფთა გადაყვანისას კლინიკიდან კლინიკაში. დაზღვევისა და გადახდის საკითხების ოპერატიულ გადაწყვეტას, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ახალ შესაძლებლობებს, ახალი სამედიცინო ტექნოლოგიებისა და მეთოდების ფართო დანერგვას, დისტანციურ სამედიცინო კონსულტაციებს, კონსილიუმებს, ტელეკონფერენციებსა და ტელემანიპულაციებს (აპარატურის დისტანციური მართვა და მანძილზე ქირურგიული ჩარევებიც კი).

პირველი ქვეყანა, რომელმაც ტელემედიცინა დააყენა პრაქტიკულ ნიადაგზე, გახდა ნორვეგია, სადაც არის ტრადიციული სამედიცინო დახმარებისთვის ხელმისაწვდომელი დიდი რაოდენობით ადგილები. მეორე პროექტი განხორციელდა საფრანგეთში სამოქალაქო და სამხედრო ფლოტის მეზღვაურებისთვის. დღეს კი უკვე ძნელი მოსაძებნია დასავლეთის ქვეყანა, სადაც არ ვითარდება ტელესამედიცინო პროექტები. განსაკუთრებული გაქანება „ტელემედიცინის“ სეანსებმა მიიღო აშშ-ში.

ამჟამად ბევრ ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშავდება მრავალრიცხოვანი ტელესამედიცინო პროექტები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში მუშავდება მედიცინაში ტელეკომუნიკაციების გლობალური ქსელის შექმნის იდეა. იგულისხმება

სამეცნიერო დოკუმენტებისა და ინფორმაციის ელექტრონული გაცვლა, მისი დაჩქარებული ძიება წვდომით ტელესაკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით, ვიდეოკონფერენციების, დაუსწრებელი დისკუსიებისა და თათბირების ჩატარება, ელექტრონული კენჭისყრა.

განვითარებას ჰპოვებს აგრეთვე სამედიცინო ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო ქსელებიც, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა მიზნებისაკენ: სისტემა «მატელლიფე» — განვითარებად ქვეყნებში სამედიცინო ცოდნის გავრცელებისა და კადრების მომზადებისთვის, «PlanetHeres» — ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული გლობალური სამეცნიერო კომუნიკაციების, საერთაშორისო სამეცნიერო ექსპერტიზისა და სამეცნიერო პროგრამათა კოორდინაციის სისტემა, სხვა სისტემები და ქსელები.

ევროპის თანამეგობრობამ უკვე რამდენიმე წლის წინ დააფინანსა 70-ზე მეტი საერთაშორისო პროექტი, რომლებიც მიმართულია ტელემედიცინის სხვადასხვა ასპექტების განვითარებაზე: სასწრაფო დახმარებიდან (პროექტი HECTOR) შინ მკურნალობის ჩატარებამდე (პროექტი HOMER-D). პროექტების მთავარი ამოცანა არის სამედიცინო ინფორმატიკის მეთოდების განვითარება, რაც მიზანმიმართულია სამედიცინო მონაცემების რეგისტრაციასა და ფორმალიზებაზე, მათ მომზადებაზე გადასაცემად და მისაღებად. მუშავდება და გამოიცდება ინფორმაციის შეკუმშვის ალგორითმები, ინფორმაციის გაცვლის სტანდარტული ფორმები როგორც ამოსავალი მონაცემების დონეზე (გამოსახულებები, ელექტროსიგნალები, მაგ., ელექტროკარდიოგრამები, და ა.შ.), ისე ავადმყოფობის ისტორიის დონეზე. მიდის ავტომატიზებული სამუშაო ადგილების შემუშავება სხვადასხვა საექიმო და დიაგნოსტიკურ სპეციალობებში (ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, კომპიუტერული ტომოგრაფია, რენტგენოლოგია, ბიოქიმია).

ყველა, ერთი შეხედვით დაქსაქსული პროექტი, სინამდვილეში, არის კარგად კოორდინირებული. არსებობს პროექტები, რომლებიც ახდენენ ყველა კონკრეტულ შემუშავებას (მაგალითად, ITHACA), აგრეთვე პროექტები, რომლებიც ახორციელებენ კერძო პროექტების ეფექტიანობის შეფასებასა და საუკეთესო გადაწყვეტილებების გავრცელებას (STAR). პრაქტიკულად, ყველა პროექტი დუბლირებულია, ე.ი. ევროკავშირი გამიზნულად მიდის ხარჯების გაზრდაზე, რათა მიიღოს საუკეთესო გადაწყვეტილებები.

ამჟამად მსოფლიოში ცნობილია 250-ზე მეტი ტელესამედიცინო პროექტი, რომლებიც თავისი ხასიათით იყოფა კლინიკურად (დიდი უმეტესობა), საგანმანათლებლოდ, საინფორმაციოდ და ანალიტიკურად. გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით პროექტები იყოფა: ადგილობრივად (ლოკალურები ერთი დაწესებულების შიგნით, ესაა 27%), რეგიონული (40%), ზოგადეროვნული (16%) და საერთაშორისო (17%). ბევრი პროექტი არის მრავალმიზნობრივი, შემთხვევათა ნახევარში (48%) ისინი დაკავშირებულია ტელეგანათლებასთან და ტელესწავლებასთან. ყოველ მეოთხე პროექტში ინფორმაციის გადაცემის ახალი არხები გამოიყენება მართვისა და ადმინისტრირების საჭიროებისთვის. 23%-ში ტელემედიცინა გამოიყენება სასოფლო და დაშორებული რაიონების მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურებისთვის.

თანამედროვე ტელესამედიცინო მიდგომები საშუალებას იძლევა, ჩატარდეს ყველაზე შორეულ რაიონში მყოფ ექიმთა და მათ პაციენტთა კონსულტაციები. ამასთან, მძიმე ავადმყოფისთვის კონსულტაციის ჩასატარებლად ექიმს შეუძლია ჰქონდეს არა მხოლოდ საკუთარი გამოცდილების იმედი. ტელესამედიცინო ტექნოლოგიების წყალობით ექიმებსა და სპეციალისტებს შეუძლიათ მოუსმინონ ცნობილ მეცნიერთა ლექციებს ჯანდაცვისა და სამედიცინო მეცნიერების ყველაზე აქტუალურ თემებზე, დაამყარონ პროფესიული კავშირები წამყვან მსოფლიო სამეცნიერო ცენტრებთან, აგრეთვე თავიანთ კოლეგებთან მეზობელი რაიონული საავადმყოფოებიდან ან საოლქო ცენტრის წამყვან სპეციალისტებთან. მეტად მიზნობრივია ვიდეოკონფერენციების ტექნოლოგიათა გამოყენება, რაც მხარეებს აძლევს ცოცხალი ურთიერთობის საშუალებას ვიდეოს რეჟიმში.

როდესაც ექიმი აწყდება რთულ შემთხვევას თავის პრაქტიკაში, ის ეთათბირება, კონსულტაციებს იღებს კოლეგებისაგან. საკმაოდ ხშირად თავს იჩენს ურთიერთობის მოთხოვნილება კოლეგებთან არა მხოლოდ თავისი საავადმყოფოდან, არამედ სხვა სამედიცინო ორგანიზაციებიდანაც როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, ამასთან, საჭირო ხდება სამედიცინო დოკუმენტაციის, სურათების, ვიდეოგამოსახულებების გაცვლა.

ტელემედიცინა და ინტერნეტი

ტელემედიცინა დაკავშირებულია ინტერნეტის გლობალური ქსელის განვითარებასთან,

რომლითაც პრინციპში შეიძლება განვახორციელოთ ყველა ამოცანა, რაც დაისმის ტელემედიცინის წინაშე. თუმცა, გატარების გარანტირებული ზოლის არარსებობა ტელეკონსულტაციის მონაწილეებს შორის იწვევს ვიზუალური ინფორმაციის გადაცემის შენელებასა და შეზღუდვას აუდიოინფორმაციის გადაცემაზე (ურთიერთობისა და ვიდეოფრაგმენტების გადაცემის პრაქტიკულ შეუძლებლობამდე მათი დიდი მოცულობის გამო). გარდა ამისა, ინტერნეტი არის ღია ქსელი, ხოლო პაციენტთა სამედიცინო მონაცემების გადაცემა და განხილვა ყველასთვის ღია რეჟიმში სამართლებრივი თვალსაზრისით დაუშვებელია. ინფორმაციის მკაცრი დაცვის შემოღება დაკავშირებულია სამედიცინო (პირადი, პაციენტის შესახებ) ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობასთან.

ინტერნეტ- და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება იქცა სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად, რაც გავლენას ახდენს ექიმთა ქცევაზე. ასე მაგალითად, 400 ამერიკელი ექიმის შერჩევითმა გამოკითხვამ 2001 წ. მარტში აჩვენა, რომ მათგან 356 (89%) რეგულარულად სარგებლობს ინტერნეტით თავისი ცოდნის შესავსებად, მუშაობის ეფექტიანობის გასაზრდელად და პაციენტებთან საკონტაქტოდ. ინფორმაცია ინტერნეტიდან გარკვეულწილად გავლენას ახდენს ექიმების მიერ დასმულ დიაგნოზებზე და იმ წამლების არჩევანზე, რომლებსაც ისინი გამოუწერენ თავიანთ პაციენტებს.

ინტერნეტის მეშვეობით შეიძლება მოხდეს პროცედურებისა და ოპერაციების ტრანსლირება საგანმანათლებლო მიზნებით. მიუხედავად ამისა, ინტერნეტი ვერ განიხილება უწყვეტი სწავლების ძირითად ბაზად, თუმცა შეიძლება მისი შესაძლებლობების გამოყენება ამ პროცესის შემადგენელ ნაწილად. ხელსაყრელი პირობები იქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეერთება არ მოითხოვს დიდ დროს, ანუ ისეთი არხების არსებობისას, რომლებიც პასუხობს საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს, რასაც ძირითადად შეესაბამება კავშირგაბმულობის ოპტიკურბოჭკოვანი ან თანამგზავრული ხაზები.

ტელემედიცინა ინტერნეტთან ერთად საშუალებას მოგვცემს, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მედიცინისა და ჯანდაცვის მეცნიერული და პრაქტიკული პოტენციალი.

მედიცინაში საინფორმაციო სტანდარტების აუცილებლობა

სამედიცინო ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული სისტემები დღეს აქტუალური უნდა იყოს საქართველოს ჯანდაცვის ყველა სტრუქტურისთვის. ამასთან, ორიენტაცია ვიწრო, ლოკალური საკითხების გადაჭრაზე, ერთიან საინფორმაციო სისტემაში სამედიცინო მონაცემების შენახვის, გარდაქმნისა და გადაცემის სტანდარტული წესების არარსებობა, ისევე როგორც ამგვარი სივრცის არარსებობაც, იქცევა საგრძნობ დაბრკოლებად ჯანდაცვის ეფექტიანი ინფორმატიზაციის გზაზე. შედეგად თავს იჩენს წინააღმდეგობა მუდმივად მზარდ საინფორმაციო მოთხოვნილებებსა და ჯანდაცვის დაწესებულებათა საინფორმაციო უზრუნველყოფის ღონეს შორის. დღეისთვის უნდა ვაღიაროთ, რომ საკვანძო როლს მედიცინაში საინფორმაციო ტექნოლოგიების დასაზღვრად თამაშობს სტანდარტიზაცია. ბოლო ათწლეულებში სამედიცინო ინფორმატიკის სპეციალისტთა ყველაზე დიდი ძალისხმევა თავმოყრილი იყო ორ ძირითად საგნობრივ დარგში, როგორცაა: სამედიცინო ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია და სამედიცინო მონაცემთა გადაცემის სტანდარტიზაცია.

ფუნქციური სტანდარტების კონცეფცია გულისხმობს მედიცინის შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრას:

1. შეუძლებელია სამედიცინო საინფორმაციო სისტემის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდოდა მხოლოდ ერთი მწარმოებლის მიერ შემუშავებული კომპონენტები. ეს აიხსნება იმით, რომ ამჟამად დიდი რაოდენობით სამედიცინო ტექნიკა აღჭურვილია საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერებით. ამგვარ პროგრამებს ან არა აქვთ სხვა კომპონენტებთან ურთიერთობის უნარი, ან შეუძლიათ ურთიერთობა რაიმე საკუთარ ფორმატში, ანდა მზარს უჭერენ ინფორმაციის გაცვლის ამა თუ იმ სტანდარტს. ინფორმაციის გაცვლის ერთიანი სტანდარტის შემოღება იძლევა ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებას სამედიცინო საინფორმაციო სისტემის შიგნით.

2. ამჟამად მთავრდება ავტონომიური სამედიცინო კომპიუტერული სისტემების პერიოდი, რომლებიც იქმნება ავტონომიურად ცალკეული სამედიცინო ქვედანაყოფების მიერ საკუთარი ამოცანების გადასაჭრელად. დგება სხვა პერიოდი — ერთმანეთთან ურთიერთქმედ სამედიცინო კომპიუტერული სისტე-

მების პერიოდი. სტანდარტები სამედიცინო საინფორმაციო ტექნოლოგიებში საშუალებას იძლევა, მოხდეს ინფორმაციის გაცვლა არა მხოლოდ საკუთარი სისტემის შიგნით, არამედ გარეშე სისტემებთანაც. ეს უზრუნველყოფს რეგიონული სამედიცინო დაწესებულებების ურთიერთქმედებას მსხვილ ცენტრებთან, აგრეთვე ქართული დაწესებულებებისა — უცხოურთან.

3. სტანდარტები ხელს უწყობს მედიცინაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის გააძვირებას. სტანდარტის მხარდამჭერი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სამედიცინო დაწესებულებებს ექნებათ საშუალება, თანდათან დანერგონ საინფორმაციო სისტემები — ცალკეული განყოფილებებიდან დაწყებული, და თანდათან შექმნან დიდი მასშტაბის სისტემები.

4. სტანდარტების მხარდამჭერი პროგრამული უზრუნველყოფა უფრო დიდხანს არ ძველდება, ადვილად ექვემდებარება მოდერნიზებას, და, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მუშაობს უფრო სტაბილურად. თანაც ის უფრო იაფია, რადგანაც სტანდარტების შემოღება იწვევს კონკურენციის მკვეთრ მატებას პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე.

დასკვნა

მაშ ასე, ტელეკომუნიკაციების რეგულირების სააგენტოს მიერ მომზადებული საინფორმაციო სექტორის განვითარების სტრატეგიაში, საინფორმაციო ტექნოლოგიების, და ა. შ. რამოდენიმე დარგს მოიცავს. ტელეკომუნიკაციების განვითარება ჰპოვა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, პრაქტიკაში დაამტკიცა თავისი მაღალი ეფექტიანობა და კომპლექსურ დადებით გავლენას ახდენს ჯანდაცვის სტრუქტურაზე, ზრდის სამედიცინო დახმარების ხარისხს და აფართოებს ზოგადი პრაქტიკის ექიმების — ჯანდაცვის პირველადი რგოლის შესაძლებლობებს.

გარდა ამისა, ტელეკომუნიკაციები ხელს უწყობს თანამშრომლობას სამედიცინო ორგანიზაციებს შორის, იძლევა სამედიცინო კადრების მომზადების ეფექტიანი სისტემის ორგანიზების საშუალებას. განისაზღვრა ტელეკომუნიკაციების განვითარების პრიორიტეტული ამოცანები, რომელთა შორისაც დასახელდა გამოყენებული სამედიცინო, კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტანდარტიზაცია, საინფორმაციო რესურსების განვითარება.

ეს მიმართულება საკმაოდ ახალია, გან-

საკუთრებით საქართველოსთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ყოველდღე ჩნდება სულ უფრო მეტი ნამდვილად კარგი, რეალურად მომუშავე ტელესამედიცინო სისტემა და ქსელი. მაგრამ ისინი გაცილებით მეტი საჭიროა იმისთვის, რომ გადაიჭრას პრობლემები, რაც დაკავშირებულია საქართველოს მაღალმთიან ტერიტორიებთან და მოსახლეობის საკმაოდ დაბალ სიმჭიდროვესთან. საუკეთესო გზა არის ტელესაკომუნიკაციო კომპანიების, ჯანდაცვის ორგანიზატორების, სამკურნალო

დაწესებულებათა თანამშრომლების, სამედიცინო დაზღვევის სპეციალისტების, სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტების, სასწავლო დაწესებულებებისა და ტელემედიცინის დარგში გადაწვევებიანათა შემუშავებლების ძალისხმევის გაერთიანება. ამგვარი გაერთიანების შემთხვევაში შესაძლებელია ურთულესი სამედიცინო, საორგანიზაციო, ფინანსური და იურიდიული პრობლემების სწრაფი გადაჭრა. ეს გაერთიანება აუცილებელია ისეთი პერსპექტიული დარგის ეფექტიანი განვითარებისთვის, როგორცაა ტელემედიცინა.

ლიტერატურა:

1. **Медведев О.С., Кербиков О.Б.** Телемедицина: технология будущего или возможность повысить уровень медицинского обслуживания уже сегодня. Компьютерные технологии в медицине. № 2, 1997 г., стр. 88-89.
2. Телемедицина и компания Telecom Finland. Компьютерные технологии в медицине. № 2, 1997 г., стр. 95.
3. **Новиков Л.А., Фургал С.М., Белевитин Л.Б., Корсун К.Ю.** Телемедицина в Российской военно-медицинской Академииг. Санкт-Петербурга. Компьютерные технологии в медицине. № 3, 1997 г., стр. 73.
4. Telemedicine Resources and Services: American Telemedicine Association// The Univ. of Texas at Austin. -1994.
5. **Буравков С.В., Григорьев А.И.** Основы телемедицины. - М.: Фирма Слово. - 2001.
6. **Григорьев А.И., Орлов О.И.** Клиническая телемедицина. - М.: Фирма Слово. - 2001.
7. **Лях Ю.Е., Владимировский А.В.** Введение в телемедицину. Серия «Очерки медицинской и биологической информатики.» - Донецк: ООО «Лебедь», 1999.
8. Телемедицина. Новые информационные технологии на пороге XXI века. Подъед. проф. Р.М.Ю суповаи проф. Р.И. Полонникова. - Санкт-Петербург. - ТОО Издательство «Анатолия». - 2003.

საბანკო კრიზისის თავისებურებები რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში



ლია ელიავა,

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

LIA ELIAVA,

Doctor of economics, Professor of Kutaisi University

ანოტაცია

ნაშრომში გამოკვლეულია რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო კრიზისის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი თავისებურებები. დასაბუთებულია, რომ ეკონომიკური ციკლის გავლენა საბანკო კრიზისის განვითარებაზე ვლინდება სამ ძირითად ფაზაში. პირველი, ინფლაციური ფაზა, ემთხვევა ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპს, როდესაც ინფლაცია საბანკო სექტორზე ზემოქმედებს რამდენიმე მიმართულებით. მეორე ფაზაში იწყება ფინანსური წესრიგის დამყარება, გონივრული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და ფინანსური სტაბილიზაცია. მესამე, საკრედიტო ბუმის ფაზაში, ჭარბი საკრედიტო ექსპანსია წარმოადგენს საბანკო კრიზისების საკმაოდ ძლიერ მაპროვოცირებელ ფაქტორს. ნაშრომში საბანკო კრიზისის ნეგატიური შედეგების შერბილების მიზნით შემოთავაზებულია მეთოდური და ორგანიზაციული ხასიათის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: საბანკო კრიზისი, ეკონომიკური ციკლები, ფინანსური ლიბერალიზაცია, ინფლაცია, დევალვაცია, დაკრედიტება.

FEATURES OF REFORMING THE BANKING CRISIS ECONOMIES

Annotation

The work analyzes main features of the origin and development of the banking crisis in the emerging economies. It is proved that the impact of economic cycles on the development of the banking crisis is manifested in three main phases. First, inflationary phase, coinciding with the initial stage of economic reforms, the inflation impact on the banking sector in several directions. The second phase begins with the financial order, a reasonable monetary policy and financial stabilization. Third, in the credit boom phase, credit expansion is quite strong provocation of the banking crises. To propose to mitigate the negative effects of banking crisis gives organizational and methodical recommendations.

Keywords: banking crisis, economic cycles, financial liberalization, inflation, devaluation, crediting.

ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავებას და მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ დაპირისპირებებს თან სდევს ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების გახშირება, განსაკუთრებით რეგიონული და გლობალური საბანკო კრიზისების, რომელთა განმაპი-

რობებელი ფაქტორები მრავალფეროვანია და ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული [1]. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, საბანკო კრიზისები ყველაზე ხშირია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში, განსაკუთრებით ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპებზე, როდესაც ადგილი აქვს ინფლაციის საკმაოდ მაღალ დონეს. ამ ქვეყნებში შემდგომ ეტაპებზე დგება ფინანსური სტაბილიზაციის პერიოდი, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო, ბოლო ეტაპზე ეკონომიკა გადადის აქტიური ზრდის ფაზაში. ანალოგიური ციკლური განვითარება მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია განვითარებული ეკონომიკური სისტემებისთვისაც. ქვეყნის საბანკო სისტემის მდგრადობაზე გავლენას ახდენს სამი საკვანძო მაკროეკონომიკური ფაქტორი – ინფლაციის ტემპების ცვლილება, საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპი და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება, რომლებიც თავის მხრივ მჭიდროდ ურთიერთკავშირში არიან ერთმანეთთან. წინამდებარე სტატიის მიზანია გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საბანკო კრიზისებზე ეკონომიკური ციკლისა და ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენის თავისებურებების გამოკვლევა და შესაბამისი კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

რეფორმირებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, ეკონომიკური ციკლის გავლენა საბანკო კრიზისის განვითარებაზე ვლინდება სამ ძირითად ფაზაში: ინფლაციური ფაზა, ფინანსური სტაბილიზაციის ფაზა, საკრედიტო ბუმის ფაზა [2].

პირველი, ინფლაციური ფაზა, როგორც წესი, ემთხვევა რეფორმების საწყის ეტაპს. ამ დროს ინფლაცია საბანკო სექტორზე ზემოქმედებს რამდენიმე მიმართულებით – საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, ეროვნული კაპიტალის საზღვარგარეთ გადინებით, დანაზოგების შექმნის სტიმულების შესუსტებით და სადეპოზიტო ბაზის შემცირებით, აქტიური და პასიური ოპერაციების სტრუქტურის ცვლილებით. აღნიშნული ფაზისთვის დამახასიათებელია ბანკების რაოდენობისა და საბანკო აქტივების მოცულობის ზრდა. ასევე, იზრდება ბანკების მოგება, იმ შემთხვევაში, თუ ბანკები უზრუნველყოფენ მაღალი საპროცენტო მარჟის შენარჩუნებას. ასეთ ვითარებაში კრედიტების ცუდი ხარისხი შეიძლება გადაიფაროს მათი სწრაფი გაუფასურების ხარჯზე.

ინფლაციის ფაზაში უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ის ბანკები, რომელთა აქტივები

პასივებთან შედარებით უფრო გრძელვადიანია. ბუნებრივია, ფასების მაღალი ტემპებით ზრდისას შენარჩუნებული უარყოფითად რეაგირებენ რეალური საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ გააჩნიათ დანაზოგების ინვესტირების უკეთესი ალტერნატიული ვარიანტები. თავის მხრივ, სადეპოზიტო ბაზის შესანარჩუნებლად ბანკები იძულებულნი ხდებიან, გაზარდონ ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთები. ამასთანავე, ბანკებს მოგება მკვეთრად უმცირდებათ, თუ მათი აქტიური ოპერაციებიდან შემოსავლიანობის ზრდის შესაძლებლობები შეზღუდულია დაბალიკვიდური ან არალიკვიდური გრძელვადიანი აქტივების არსებობის გამო.

მრავალ ქვეყანაში საქონელზე ფასების მაღალი ტემპებით ზრდისას ბანკები მნიშვნელოვნად ამცირებენ სახელშეკრულებო ვადებს და უპირატესობას ანიჭებენ კაპიტალის მაღალი ბრუნვადობის მქონე მსესხებლებს. ვინაიდან ბანკის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფუნქციაა დანაზოგების გარდაქმნა გრძელვადიან ინვესტიციებში, კონტრაქტების ვადების მკვეთრი შემცირება ინვესტიციების დაფინანსების გარდაუვალ შემცირებასთან ერთად, ჩვენი აზრით, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მათი ძირითადი ფუნქციის შესუსტება, რითაც პირველ რიგში ზარალდება ეკონომიკა. გარდა ამისა, საკრედიტო კონტრაქტების ვადების შემცირება მნიშვნელოვანწილად ამცირებს ბანკების მდგრადობას და ხდის მათ მოწყვლადს კონიუნქტურული რყევების მიმართ.

საბანკო სისტემაში შექმნილი არასასურველი მდგომარეობის დარეგულირების მიზნით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ქვეყნის მონეტარულ ხელისუფლებას ურჩევენ, კურსი აიღონ ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილიზაციას. ასეთი პოლიტიკის გატარება ნიშნავს მეორე ფაზაში გადასვლას, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო ფინანსებში წესრიგის დამყარებისაკენ. ფინანსური სტაბილიზაციის პროცესში საპროცენტო მარჟა მცირდება, ბანკები ცვლიან თავიანთი პორტფელების სტრუქტურას, ერთი მხრივ, იმ მიზნით, რომ მიესადაგონ მარჟის შემცირებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ეკონომიკაში საინვესტიციო აქტივობის ზრდა იწვევს საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნის ზრდას. გარდამავალი ეკონომიკებისთვის ეს ფაზა ხასიათდება

შედარებით მაღალი საკრედიტო რისკებით, რაც ბანკებს აიძულებს გააუმჯობესონ მენეჯმენტი. საპროცენტო მარჟის შემცირების კომპენსირების მიზნით ბანკები იძულებულნი ხდებიან, მოიხილონ ახალი კლიენტები, ასევე გაზარდონ ძველი კლიენტების დაკრედიტება. ამასთანავე, საკრედიტო ორგანიზაციებმა, პირველ რიგში, მცირე და საშუალო ბანკებმა, რომლებმაც მარჟის შემცირების პერიოდში ვერ უზრუნველყვეს ფინანსური ოპერაციების გააქტიურება, აწვდებიან შემოსავლების შემცირების პრობლემებს, რის გამოც მათი გაკოტრების ალბათობა იზრდება.

ბოლო, მესამე, საკრედიტო ბუმის ფაზაში, რომელიც წარმოიქმნება გარდამავალ ეკონომიკებში წარმატებული ფინანსური სტაბილიზაციის შემდგომ ეტაპზე, ასევე განვითარებულ ეკონომიკებში ეკონომიკური ციკლის „გაფართოების“ შედეგად, ბანკების საკრედიტო პორტფელები სწრაფად იზრდება მათი რესურსული ბაზის ზრდის ფონზე. მოსალოდნელია, რომ ფინანსურმა სტაბილიზაციამ ბაზრის ზოგიერთ სუბიექტს, ზუსტი ინფორმაციის ნაკლებობის გამო, შეუქმნას არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მათ საინვესტიციო პროექტებზე არსებობს მაღალი საბაზრო მოთხოვნა. ასეთივე მცდარი წარმოდგენა შეიძლება წარმოექმნათ იმ ბანკებსაც, რომლებსაც უწევთ სულ უფრო მზარდი საკრედიტო განაცხადების დამუშავება. შემდგომ, როგორც კი კრედიტებზე მოთხოვნის ვარდნას ექნება ადგილი, ბაზარი თანდათანობით გაფილტრავს ამ პროექტების ნაწილს.

როგორც საბანკო პრაქტიკამ დაადასტურა, ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში საკრედიტო ბუმი, ანუ ჭარბი საკრედიტო ექსპანსია, წარმოადგენს საბანკო კრიზისების საკმაოდ ძლიერ მაპროვოცირებელ ფაქტორს. მისი ნეგატიური მხარეებია საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესება, სესხების უზრუნველყოფის გადაჭარბებული, არაობიექტური შეფასება, საკრედიტო რისკის ზრდა. იმავდროულად, კრედიტის სწრაფი ზრდა და ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის სწრაფი ცვლილება ართულებს საბანკო სექტორის მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან კვალიფიციური და ოპერატიული მონიტორინგის განხორციელებას.

საყურადღებოა, რომ საკრედიტო ექსპანსია წინ უძღოდა მრავალი ქვეყნის საბანკო კრიზისებს, მაგალითად, იაპონიაში, ლათინური ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. მათი გამოცდილება მეტყველებს

იმაზე, რომ კრედიტის ზრდა, რომელიც ორჯერ და მეტად აჭარბებს მშპ-ს ზრდის ტემპებს, შეიძლება ჩაითვალოს საბანკო კრიზისის განვითარების პოტენციურ საფრთხედ [2].

ამგვარად, ეკონომიკის გაფართოების სტადიაზე, ბაზრის არსებითი „გადახურების“ შემთხვევაში, საკრედიტო პორტფელის ხარისხი უარესდება, ხელოვნურად იზრდება სესხების უზრუნველყოფის ღირებულება და იზრდება საკრედიტო რისკი. შემდგომ კი, ეკონომიკის შეკუმშვის სტადიაზე, პრობლემური კრედიტების რაოდენობის ზრდისას, საკრედიტო რესურსების ზრდის ტემპების შემცირებისა და მათი გადინების ფონზე, შეიძლება წარმოიქმნას საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის საფრთხეები. ამას თან ერთვის მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან საბანკო პორტფელების ხარისხის მონიტორინგის გართულება მათი სწრაფი ცვლილების შედეგად. ამგვარი საკრედიტო ექსპანსია წინ უძღოდა უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მსოფლიოში განვითარებულ მეტ წილ საბანკო კრიზისს. კრიზისგამოვლილი ქვეყნების გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ მშპ მოცულობაზე ორჯერ მეტად კრედიტის მოცულობის ზრდა შეიძლება ჩაითვალოს მოახლოებული საბანკო კრიზისის უტყუარ სიგნალად. გამომდინარე აქედან, როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, „საკრედიტო ბუმების“ წარმოქმნა წინ უძღვის და, როგორც ჩანს, არის საბანკო კრიზისების განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხშირ შემთხვევაში ფინანსურ სტაბილიზაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ეროვნული ვალუტის ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებშიც. ამ შემთხვევაში საბანკო სისტემა და მთლიანად ეკონომიკა შეიძლება რისკის ქვეშ აღმოჩნდეს, თუ ფინანსური სტაბილიზაცია ხორციელდება წინასწარი და საკმარისად ღრმა დეველუაციის გარეშე. იმპორტის ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის შედეგად შეიძლება დაეცეს ეროვნული ვალუტის კონკურენტუნარიანობა. ეს უკანასკნელი კი იწვევს საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდას და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას. ამ მომენტში წარმოიშობა საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუარესებისა და „ცული“ აქტივების შემდგომი გაუარესების წინაპირობები. მნიშვნელოვანია, რომ სავალუტო კურსის ასეთი ფიქსირება ასტიმულირებს სახელმწიფოს, კომერციული ბანკებისა და კომპანიების უცხოური ვალდებ-

ბულებების სწრაფ ზრდას, ვინაიდან ის საშუალებას იძლევა, შემცირდეს კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები (თუ ადგილი არ ექნა მხარდ სავალუტო რისკს). სწორედ ამ სტაბილურ წარმოიშობა მომავალი დეველუაციის პოტენციალი, რომელიც ხდება გარდაუვალი ქვეყანაში სავალუტო შემოდინებების მკვეთრი შემცირების შემთხვევაში. ეროვნული ვალუტის შემდგომი დეველუაცია, ერთი მხრივ, გაუფასურების ხარჯზე არეგულირებს ეროვნულ ვალუტაში გაცემული ცუდი სესხების პრობლემას და, მეორე მხრივ, ასტიმულირებს ფინანსური სტაბილიზაციის შემდგომ ფაზაზე ეკონომიკურ ზრდას სამამულო საქონლის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხარჯზე.

ფულად სტაბილიზაციას, დაკრედიტების გაფართოებასა და ეროვნული ვალუტის დეველუაციას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. წარმატებულ ფულად სტაბილიზაციას ხშირად თან ახლავს რეალურ გამოხატულებაში ფულის აგრეგატების სწრაფი ზრდა (საკრედიტო ექსპანსია). უფრო გრძელვადიან პერიოდში წარმოიქმნება ეროვნული ვალუტის დეველუაციის მაღალი ალბათობა, განსაკუთრებით ფიქსირებულ სავალუტო კურსზე დაფუძნებული სტაბილიზაციის პირობებში. დეველუაციისთვის ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს წინა პერიოდში დაკრედიტების ზრდა. ამრიგად, ყალიბდება უფრო სრული ციკლი: ინფლაცია – სტაბილიზაცია – საკრედიტო ბუმი – დეველუაცია – მაღალი ინფლაცია.

საბანკო სისტემისთვის ყველაზე მაღალი საფრთხის შემცველია ფულადი სტაბილიზაცია, ვინაიდან, როგორც წესი, საბანკო კრიზისები თავს იჩენს მისი დაწყების ეტაპზე ან მის მომდევნო წელს. მათ წინაპირობას წარმოადგენს დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელება და ეროვნული ვალუტის დეველუაცია. ფულადი სტაბილიზაციის პირობებში ინფლაციის ტემპების ცვლილების, საკრედიტო პორტფელის ზრდისა და ეროვნული ვალუტის რეალური კურსის ცვლილების მაჩვენებლები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. ამ დროს ინფლაციის ტემპების შენელება იწვევს საპროცენტო განაკვეთების სიდიდის ვარდნასა და საპროცენტო სპრედის შემცირებას. წმინდა საპროცენტო შემოსავლის შემცირების შედეგად სხვა ინფლაციურ შემოსავლებთან ერთად ბანკები განიცდიან ზარალს და, თუ შემცირებული შემოსავლები ვერ დაფარავენ მათ საოპერაციო ხარჯებს, იწეება შიდასაბანკო კრიზისი. ასეთ პირობებში დაკრედ-

იტების ზრდა იწვევს ბანკების საშემოსავლო ბაზის გადიდებას რეალურ გამოხატულებაში და ამცირებს საბანკო კრიზისის განვითარების ალბათობას.

ფულადი სტაბილიზაციისა და ეკონომიკის რეალური სექტორის აღდგენის პირობებში საკრედიტო პორტფელის ზრდასთან ერთად შეიძლება ადგილი ჰქონდეს საკრედიტო რისკების ზრდას. თუ ფინანსური სტაბილიზაცია განხორციელდა ეროვნული ვალუტის კურსის ფიქსაციის ხარჯზე, მაშინ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა თანდათანობით მცირდება, ხოლო კრედიტები, რომლებიც გაიცა ზრდის მოლოდინის რეჟიმში, შეიძლება აღმოჩნდეს ვადაგადაცილებული და მოახდინოს საბანკო კრიზისის პროვოცირება. ამიტომაც დაკრედიტების მოცულობის ზრდა ეროვნული ვალუტის რეალური კურსის ზრდის ფონზე არის მაღალი საფრთხის შემცველი.

ეროვნული ვალუტის დეველუაციის შემდგომი საბანკო კრიზისი არის განსაკუთრებული შემთხვევა. ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი დეველუაცია იწვევს საბანკო კრიზისს, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს როგორც ბანკების უცხოური ნასესხობებით, ასევე შიდა მსესხებლების შეუძლებლობით, მოემსახურონ თავიანთ ვალდებებს, ასევე სხვა ფაქტორებით. ვალუტის დეველუაციას, როგორც წესი, წინ უსწრებს დაკრედიტების ზრდის ტემპების შემცირება ან მისი შევიწროვებაც კი. ამიტომაც ამ ტიპის საბანკო კრიზისს წინ უსწრებს რეალურ გამოხატულებაში საკრედიტო პორტფელის მოცულობის შემცირება ან მისი ზრდის ზომიერი ტემპები.

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში გაზიარებულ საბანკო კრიზისები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფინანსური სახსრების მოძრაობის ლიბერალიზაციასთან. გლობალიზაციის გაღრმავების თანამედროვე ეტაპზე კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება საბანკო სისტემის დაბალი კაპიტალიზაციის, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის, ეკონომიკის გარკვეულ სექტორებში ინვესტიციებზე სამთავრობო გარანტიების გაცემის, ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის დაბალი დონის პირობებში, ქვეყნის ფინანსური სისტემა რჩება მოუშხადებელი მსოფლიო ეკონომიკაში პერიოდულად წარმოქმნადი შოკური რისკების შესახვედრად.

როგორც წესი, საკუთრივ კაპიტალის ანგარიშის ლიბერალიზაცია არ ზრდის პირდა-

პირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას, მაგრამ იგი მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმირების დაწყებით სტადიაზე. ამ დროს ქვეყნიდან გადინებული კაპიტალის უკან დასაბრუნებლად საჭირო ხდება პირდაპირი ან პორტფელის ინვესტიციების გამოყენება. ფინანსური ლიბერალიზაცია ქმნის ხელსაყრელ გარემოს უცხოური კაპიტალის საბანკო სექტორში მოსახიდად, რის გამოც ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებს შორის მატულობს კონკურენტული ბრძოლა დაკრედიტების მოცულობისა და რესურსული ბაზის გაზრდისთვის. ინვესტორების მხრიდან საბანკო სექტორისადმი ნდობის ხარისხის ამაღლების მიზნით ცენტრალური ბანკი, კაპიტალის ანგარიშის ლიბერალიზაციით, ინვესტორებს ატყობინებს, რომ ინფლაციის შემცირება არის სახელმწიფოს სავალუტო პოლიტიკის პრიორიტეტი.

ფინანსური ლიბერალიზაცია რეფორმირებად ქვეყანაში იზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. როგორც ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის 58 განვითარებადი ქვეყნისთვის 1979-1995 წლებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთი დოლარი ზრდის შიდა ინვესტიციებს 50 ცენტით [3]. როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, საბანკო კრიზისს ყველაზე მეტად იწვევს საკრედიტო ბუმი. სწრაფად განვითარებად ქვეყნებში უცხოეთიდან კაპიტალის შემოდინება ხელს უწყობს როგორც ლიკვიდობის, ასევე დაკრედიტების მოცულობის ზრდას, რაც თავის მხრივ, საბანკო კრიზისის მაპროვიცირებელი ფაქტორი ხდება [1].

ფინანსური ლიბერალიზაციის პირობებში ქვეყანაში მეტი ოდენობის სპეკულაციური (პორტფელური) კაპიტალი შემოდინება, რაც საბანკო სისტემაში კრიზისის განვითარების საფრთხის სიგნალად აღიქმება. ასეთი მობილური და მოკლევადიანი კაპიტალის მიზანია მაღალი მოგების მიღება რეფორმირებად ქვეყნებში მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და ხელსაყრელი სავალუტო კურსის ბაზაზე. აღნიშნული კაპიტალი არის ორმხრივ (შედინება-გადინება) სწრაფად გადაადგილებადი და ყველაზე ლიკვიდური. იგი პირველი ტოვებს ადგილობრივ საფინანსო ბაზარს მოახლოებული საფრთხის შემთხვევაში. თითქმის ყველა განვითარებად ქვეყანაში, რომელმაც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში განიცადა საბანკო კრიზისი, ეკონომიკური აღმა-

ლობა და მისი ღრმა ვარდნა სწორედ ამ ფაქტორთანაა დაკავშირებული [2].

პორტფელის ინვესტიციების შემოდინების ეფექტი რეფორმირებადი ქვეყნის ეკონომიკაზე გამოიხატება დაკრედიტების ზრდაში, რომელსაც მოჰყვება ისეთი მოვლენები, როგორცაა იმპორტზე მოთხოვნის ზრდა, საგადასახდლო ბალანსის გაუარესება, ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება, საპროცენტო განაკვეთის ზრდა, ეკონომიკური ზრდის შენელება, ეკონომიკის რეალური სექტორისა და საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება. ასეთივე ნეგატიური შედეგი ქვეყნის ეკონომიკასა და მის საბანკო სექტორზე მოაქვს პორტფელის ინვესტიციების გადინებას, ანუ ქვეყნიდან საბანკო კაპიტალის გადინებამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და საბანკო კრიზისების პროვოცირება.

ფინანსური ლიბერალიზაციის შედეგად საფინანსო დაწესებულებების საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნამ ბანკებს მისცა სრული თავისუფლება, დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ ისეთი საკითხები, როგორცაა ვისზე და რა კრიტერიუმებით გასცენ კრედიტები, დაადგინონ კრედიტებზე და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები, სად დააბანდონ მათ განკარგულებაში არსებული სახსრები. თავისთავად ფინანსური ლიბერალიზაცია პოზიტიური მოვლენაა, ვინაიდან საშუალებას იძლევა დაზოგილი თანხები მიიმართოს იქით, სადაც ისინი უფრო ეფექტურად იქნებიან გამოყენებულნი. ამით ლიბერალიზაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. მიუხედავად ამისა, გარკვეული პირობების არსებობისას მან შეიძლება გამოიწვიოს ხარჯებისა და რისკების ზრდა და, დიდი ალბათობით, მოახდინოს საბანკო კრიზისის პროვოცირება. ასეთი არახელსაყრელი პირობებია: მაღალი საბაზრო საპროცენტო განაკვეთები; ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების არასტაბილურობა, როგორცაა ფასები, რეფინანსირების განაკვეთი, სავალუტო კურსი და სხვათა. ფინანსური ლიბერალიზაცია ზრდის ბანკების მოწვევადობას მაკროეკონომიკური შოკების მიმართ, რაც ღრმავდება ბანკებზე ზედამხედველობის სისტემისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ნაკლოვანებებით.

ამრიგად, გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ საბანკო კრიზისი საბაზრო ეკონომიკის თანმხლები მოვლენაა და იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფაქტორების გავლენით წარმოიქმნება.

რაც შეეხება საბანკო კრიზისის გამოვლენის ფორმებს, ისინი ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი და რეფორმირებადი ქვეყნების საბანკო სექტორისთვის. კერძოდ, საბანკო კრიზისის გამოვლენის ძირითადი ფორმებია საბანკო სისტემის უუნარობა, შეასრულოს მასზე დაკისრებული ისეთი ძირითადი ფუნქციები, როგორცაა დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების მობილიზება და მათი გადანაწილება ეკონომიკაზე, ანგარიშსწორების განხორციელება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. საბანკო კრიზისის დროს მკვეთრად იზრდება ტოქსიკური სესხების მოცულობა, ეცემა ბანკების ლიკვიდურობის დონე, ბანკები ხდებიან გადახდისუუნარონი. მიუხედავად საბანკო კრიზისების გამოვლენის ფორმების მსგავსებისა, მისი წარმოშობის ფაქტორები შეიძლება განსხვავებული იყოს განვითარებულ, განვითარებად და რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში. პირველი განმასხვავებელი ნიშანია განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში საბანკო კრიზისის წარმოქმნის ფაქტორთა სიმრავლე, რომელთა შორის მნიშვნელოვანია არასათანადო ბიზნეს გარემო, საბანკო სექტორის ზედამხედველობისა და რეგულირების სისუსტე და არაადეკვატურობა, ეკონომიკის მკვეთრი დაცემა, საწარმოების დიდი ნაწილის მიერ სასესხო ვალდებულებების მომსახურების უუნარობა, ჭარბი საკრედიტო ექსპანსია, ინფლაციის მაღალი დონე, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ნახტომისებრი რყევა, ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე,

ფასების მკვეთრი ზრდა, ფინანსურ აქტივებზე და საპროცენტო განაკვეთზე ფასების მკვეთრი მატება, საბანკო სექტორისადმი მოსახლეობის დაბალი ნდობა, დიდი მოცულობის საგარეო დავალიანება როგორც სახელმწიფო, ასევე კორპორაციულ სექტორში, მცირე ზომის ეკონომიკის ჭარბი დიაობა და ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების დაცვის დაბალი დონე, ეკონომიკურ რეფორმებში დაშვებული შეცდომები და სხვა. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, საბანკო კრიზისის წარმოქმნაზე მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენენ ზემოქანმოთვლილი ფაქტორები, თუმცა, მთავარი ფაქტორი მაინც სხვაა. კერძოდ კი, საფონდო ბირჟებზე ფასიან ქაღალდებზე ფასის ვარდნა, რაც ბანკებისთვის ნიშნავს აქტივების ღირებულების შემცირებას და, შესაბამისად, საბანკო კრიზისის პროვოცირებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბანკო კრიზისები საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ფენომენია, თუმცა, სწორი ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების პირობებში მისი ნეგატიური შედეგების შერბილება შესაძლებელია. ამ მიზნით საჭიროა ცენტრალური ბანკების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მონეტარული და საბიუჯეტო პოლიტიკების ოპტიმალურად ურთიერთშეხამება, საბანკო ზედამხედველობის ორგანოების ოპერატიული და კვალიფიციური საქმიანობა, ანტიკრიზისული საბანკო სტრატეგიის შემუშავება, პრობლემური ბანკების საკითხის ოპერატიული გადაწყვეტა და სხვა მეთოდური და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება.

ლიტერატურა:

1. **Kovzanadze I.**, Systemic and Borderline Banking Crises, Lessons Learned for Future Prevention, iUniverse, Inc., New York, Bloomington, 2010.
2. **ელიაშვილი ლ.**, საბანკო კრიზისების პროგნოზირება, თბილისი, 2013.
3. **Bosworth B., Collins S.** Capital Flows to Developing Economies: Implications for Saving and Investment, Brookings Papers on Economic Activity: N1, 1999, pp. 143-169.
4. **ელიაშვილი ლ.**, საქართველოს თანამედროვე ფინანსური გამოწვევები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015.
5. **Мамедов З.Ф.**, Роль кризиса в реформировании банковского сектора с трансформирующихся рынков. — Журнал «Финансы и кредит», 10(250). — 2007.

ონლაინ-სესხები – დადებითი და უარყოფითი მხარეები



დავით ბიძინაშვილი,

გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის
დოქტორი

DAVIT BIDZINASHVILI,

Professor of Gori Teaching University

ONLINE LOANS – ADVANTAGES AND DISADVANTAGES

Abstract

Georgian consumers have been enjoying for several years online loans. No wonder, online loan is quick and easy. He fingertips whenever you need and helps you when you do not fit most, but many people wonder how reliable this or that company. Users interested in, how can you possibly believe the borrower, which is so easily and quickly, almost without any money issue?

Loan-online users issuing organizations, basically, are the people who are in urgent need of money and are forced to take out a one-sided terms of debt, which at the moment it is of vital importance.

Online Credit scale organizations in the country due to the poor economic conditions, low levels of user awareness of these companies and the aggressive marketing campaign.

Online Credit organizations will further increase the country's social situation, leading to the bankruptcy of individual families and personal tragedies. Onlainsakredito organizations unjustified in its economic sense, 1000% interest rate with a product may not be any positive effect on the economy, on the contrary, if you are a beginner or a similar loan products, the entrepreneur will benefit from the bankruptcy of a chance to grow. Such instances abound in our reality.

Keywords: Online-loans, Overdue loans, Microfinance institutions, Inflation, Pawn service, GEL functions, The annual effective interest rate, Debt, Credit history, Lien, Bankruptcy.

შესავალი: ქართველი მომხმარებელი უკვე რამდენიმე წელია, რაც სარგებლობს ონლაინ სესხებით. არც არის გასაკვირი, ონლაინ სეს-

ანოტაცია

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანებიდან უმწვავესია ადგილობრივი მოსახლეობისთვის საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობა და კრედიტით სარგებლობის პროცენტი. მოცემულ პრობლემაზე მრავალი საინტერესო შრომაა გამოქვეყნებული ქართველი ეკონომისტ-მკვლევართა მიერ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემის მრავალმხრივობის, სირთულისა და დროში მისი მდგომარეობის მუდმივი ცვალებადობიდან გამომდინარე, მასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევა კვლავაც აქტუალურია და ასე იქნება მომავალშიც. წინამდებარე სტატიაში ძირითადად განხილულია ონლაინ-სესხები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გაცემული ონლაინ-სესხების მოცულობა, მათი ზრდისა და შემცირების მიზეზები და შედეგები, ვადაგადაცილებული სესხების ზრდის ტემპები და მათი გამომწვევი მიზეზები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სესხებზე დაწესებული უკიდურესად კაბალური პირობები, ეროვნული ვალუტის კურსის დამცავი ღონისძიებები და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ-სესხები, ვადაგადაცილებული სესხები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ინფლაცია, სალომბარდო მოსახურება, ლარის ფუნქციები, წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ვალი, საკრედიტო ისტორია, ვადალა, გაკოტრება.

ხის აღება სწრაფი და მარტივია. ის ხელთაა ყოველთვის, როდესაც გჭირდება და გეხმარება მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გიჭირს, თუმცა ბევრ ადამიანს უჩნდება კითხვა, რამდენად სანდოა ესა თუ ის კომპანია. მომხმარებელი ინტერესდება, რამდენად შეიძლება ენდო მსესხებელს, რომელიც ასე მარტივად და სწრაფად, თითქმის ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გასცემს თანხას?

მცირე თანხის გაცემის პრაქტიკა უკვე დიდი ხანია არსებობს. თავდაპირველად მსგავსი ბიზნესი სესხების გაცემას სალომბარდო მომსახურებით, ნებისმიერი ლიკვიდური საგნის უზრუნველყოფით (იუველირული ნაწარმი, ავტომობილი და სხვა) ითვალისწინებდა.

საქართველოში ფიზიკური პირებზე მცირე სესხების გაცემა 90-იანი წლების დასაწყისში, პირველი ლომბარდების გამოჩენისთანავე გახდა აქტუალური, რომლებიც უფრო აქტიურად 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამუშავდნენ.

რაც შეეხება სესხების გაცემის თანამედროვე პროცესს: ის ბევრად უფრო გამარტივებულია — თანხის მიღება ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე, მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე ხდება, ხოლო ფული პირდაპირ აპლიკანტის საბანკო ანგარიშზე ირიცხება.

მსჯელობა: ონლაინ სესხებს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მიკროკრედიტების უპირატესობად შეიძლება შემდეგი ფაქტორები ჩაითვალოს:

ა) დროის მინიმალური დანახარჯი სესხის მისაღებად;

ბ) პროცედურის სიმარტივე და ხელმისაწვდომობა.

მიკრო კრედიტის მთავარი ფუნქცია მომხმარებლის ფინანსური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა.

სესხის განაცხადის განხილვისა და თანხის გაცემის პროცესს, როგორც წესი, 30 წუთზე მეტი დრო არ სჭირდება, რამაც მსგავსი სერვისი პოპულარული და მოთხოვნადი გახდა როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში.

კონკურენტული გარემო, რაც თავისთავად სერვისის სრულყოფასა და გაუმჯობესებას გულისხმობს, მომხმარებელს თავიდან არიდებს რუტინულ საბანკო პროცედურებსა და ფარულ გადასახადებს.

პირველი, რაც ონლაინ-სესხების გამცემი ორგანიზაციების შესახებ მომხმარებელმა უნდა იცოდეს ისაა, რომ მსგავსი ძვირადღი-

რებული კრედიტები საქართველოში არ არსებობს. ამის ნათლად წარმოსაჩენად ჩვენ რამდენიმე საკრედიტო ორგანიზაციის სესხების წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთები გამოვთვალეთ ეროვნული ბანკის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კალკულატორით, რომლის თანახმადაც, მიღებულმა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ონლაინ სესხების სრული უძრაველობის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 500-დან 1 000%-მდეა, რაც ქართული საკრედიტო ბაზრისთვისაც არნახულად ძვირი საკრედიტო რესურსია.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები, ყველასათვის კარგად ცნობილ ონლაინ საკრედიტო ორგანიზაცია ვივუს.გე-ზე, მართალია პირველი სესხის აღება უპროცენტოა და ამაზე აქცენტსაც ხშირად აკეთებენ კომპანიის წარმომადგენლები, თუმცა, თუკი განმეორებითი სესხის აღებას გადაწყვეტთ მაშინ თქვენ საკმაოდ მაღალი, 450%-ის გადახდა მოგიწევთ. ვებგვერდზე კლიენტს 10-დან 650 ლარამდე სესხი აღება შეუძლია მაქსიმუმ 30 დღის ვადით. თუ კლიენტი 400 ლარს 30 დღის ვადით აიღებს, 60 ლარის საკომისიოს გადახდა მოუწევს, შესაბამისად, მომხმარებელს 1 თვის შემდგომ 460 ლარის დაბრუნება უწევს. ეროვნული ბანკის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კალკულატორის თანახმად ამ კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 450%-ია.

საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აჩვენებს სესხის რეალურ ღირებულებას, რომელშიც ასახულია ყველა ის ხარჯი, რაც კლიენტს კრედიტის დასაფარად უწევს. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები თუ ონლაინ საკრედიტო ვებგვერდები კლიენტებს უცხადებენ, რომ სესხი უპროცენტოა, ხოლო ამ კრედიტის მომსახურებისთვის საჭირო თანხებს საკომისიოდ მოიხსენიებენ. სწორედ ამ დროს სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ყველაზე ნათლად წარმოაჩენს კრედიტის სიძვირეს და მის დასაფარად საჭირო თანხების ოდენობას.

კიდევ ერთ ონლაინ სესხების Emma's Credit-ის ვებ გვერდზე კლიენტს 10-დან 300 ლარამდე სესხი აღება შეუძლია მაქსიმუმ 30 დღის ვადით. თუ კლიენტი 300 ლარს 30 დღის ვადით აიღებს, როგორც ვებგვერდი იუწყება, 50 ლარის საკომისიოს გადახდა მოუწევს, შესაბამისად, მომხმარებელს 1 თვის შემდგომ

350 ლარის დაბრუნება უწევს. ეროვნული ბანკის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კალკულატორის თანახმად, ამ კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 555%-ია.

კიდევ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ონლაინ საკრედიტო ორგანიზაცია moneyman.ge-ს, ვებგვერდზე 50-დან 500 ლარამდე სესხის აღება შეგიძლიათ 31 დღის ვადით. თუ მომხმარებელი 500 ლარს აიღებს 30 დღის ვადით, 104 ლარი საკომისიოს გადახდა მოუწევს. ეროვნული ბანკის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კალკულატორის თანახმად, ამ კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 902%-ია.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი დათვლები გათვლილია სესხების პირნათლად, 30 დღის ვადაში დაფარვის შემთხვევაში. ხოლო თუ კლიენტმა აღებული თანხის დაბრუნება 1 თვის ვადაში ვერ შეძლო ყველა ონლაინ საკრედიტო ვებ გვერდს კრედიტის გადავადებისთვის დამატებითი საკომისიოები აქვთ.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალი და რამდენიმე მაგალითია იმ ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციებისა, რომლებიც დღესდღეობით ქართულ ბაზარზე არსებობენ და საქართველოს მოსახლეობას არარეალურად მაღალი საპროცენტო განაკვეთით სთავაზობენ სესხებს.

ონლაინ სესხის გამცემი ორგანიზაციების მომხმარებელი, ძირითადად, ის ხალხია, ვისაც ფული სასწრაფოდ სჭირდება და იძულებულია, კაბალური პირობებით აიღოს ვალი, რომელიც იმ წუთში მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ასეთ დროს ძნელია ადამიანს მოსთხოვო, წინასწარ იფიქროს ყველა დეტალზე, რომელიც ვალის გასტუმრების ვადის ამოწურვისთანავე დაუდგება. თუ სახელმწიფოს მიზანია, დაიცვას მოქალაქეები სოციალურად, ალოგიკურია ისეთი საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, რომელიც მსგავსი ფინანსური ტერორისგან დაიცავს მოსახლეობას. საკანონმდებლო ბაზის უქონლობა საშუალებას აძლევს სწრაფი კრედიტის გამცემ ორგანიზაციებს, გაატყავონ ადამიანები.

საქართველოში ინტერნეტსესხის მომხმარებლები ონლაინკაზინოებისა და აზარტული თამაშების მომხმარებლებიც არიან. მათ სათამაშო ფული სჭირდებათ და ვერ ფიქრობენ იმაზე, რა დღეში იგდებენ თავს. ინტერნეტსესხი კი „ეხმარება“, რომ კიდევ მეტი ფული წააგონ და გასასტუმრებლად ბევრად მეტი გადაიხადონ, ვიდრე ისესხეს.

სესხის მიმღებისთვის სავალდებულო პირობები მარტივი და მიმზიდველია. მომხმარებელს მხოლოდ მის მიერვე შერჩეული კომპანიის ვებგვერდზე მოცემული აპლიკაციის შევსება ევალება. მითითებულ კალკულატორზე უნდა აირჩიოს სასურველი თანხა და მისი გასტუმრების ვადა, დააჭიროს ღილაკს — „სესხის აღება“, შეავსოს რეგისტრაციის ველები და გაიაროს იდენტიფიკაცია.

მაღალი საპროცენტო განაკვეთების მიუხედავად, სოკოებივით მომრავლდა ონლაინსესხების გამცემი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა უკონტროლოა. საკმარისია საჯარო რეესტრში დარეგისტრირდე იურიდიულ პირად, რომ მაშინვე შეგიძლია წამოიწყო ეს საქმიანობა. შესაბამისად, ამ ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებზე, მოგებაზე, ჩამორთმეულ ქონებაზე ერთიანი ინფორმაცია არ არსებობს.

ოფიციალურად არ არსებობს ინფორმაცია, თუ რა წესით აღასრულებენ ვალის ამოღებას. არ არსებობს მათთვის დადგენილი ერთიანი წესი და შესაბამისად, ვინც, როგორ ახერხებს, ისე ცდილობს ვალის ამოღებას, შანტაჟით, დაშინებით, ნერვებზე თამაშით.

2013 წლის 25 დეკემბერს სამოქალაქო სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელიც მიმართულია იმ კერძო გამსესხებელთა წინააღმდეგ, რომლებიც ფულის გასესხებით იღებენ სარგებელს, მაგრამ არ წარმოადგენენ კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს. არ მინდა დავიჯერო, რომ ამ კანონის შემოქმედთ გულუბრველოდ ეგონათ, რომ მეგახშეობა კანონში ცვლილების შეტანისთანავე შეწყდებოდა... რა თქმა უნდა, ონლაინმსესხებელი ორგანიზაციების არსებობა ეწინააღმდეგება აღნიშნულ კანონს, თუნდაც საპროცენტო განაკვეთების თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, კანონმა ბევრი ვერაფერი შეცვალა და ამის დამადასტურებელია უპრეცედენტო რაოდენობითა და სისწრაფით მომრავლებული ონლაინსესხის გამცემი კომპანიები. მათი უსაშველოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთები მოსახლეობას გააღარიბებს, საბოლოოდ კი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შეაჩერებს.

მიუხედავად იმისა, რომ სესხი ქონებით უზრუნველყოფილი არ არის, გადაუხდლობის შემთხვევაში, მოვალეს ქონებას მაინც უყადალებენ. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ

მევახშეებმა, ე.წ. კერძო იპოთეკარებმა შეიცვალეს სტატუსი და იურიდიული პირები გახდნენ. ონლაინსესხის გამცემი ორგანიზაციების საქმიანობა უკონტროლოა. ბაზარი აბსოლუტურად არარეგულირებადია, ისევე, როგორც ლომბარდები. წარმოიდგინეთ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაც კი არ რეგულირდება. ეროვნული ბანკი ამ ორგანიზაციებს მხოლოდ ლიცენზიას აძლევს და მოითხოვს ანგარიშგებას. ეს არის ველური ბიზნესი, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და არავინ არის დამცველი. მიმდინარეობს მოსახლეობის გაღატაკება, რაც მოსალოდნელია, გადაიზარდოს სოციალურ მღელვარებაში. ჩემი აზრით, ამ ტიპის საფინანსო ორგანიზაციების რეგულირება უნდა დაევალოს ეროვნულ ბანკს ან შეიქმნას სპეციალური კანონმდებლობა...

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, „კრედიტიფონში“ ჩანაწერების რაოდენობა 2 მილიონზე მეტი ერთეულით გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ სესხზე საპროცენტო განაკვეთების სიძვირის მიუხედავად, სულ უფრო მეტი ფიზიკური თუ იურიდიული პირი მიმართავს ბანკსა თუ სხვა ფინანსურ ორგანიზაციას კრედიტის ასაღებად. ქვეყანაში, სადაც ოფიციალურად 4,5 მილიონი კაცი ცხოვრობს, 8 მილიონზე მეტი სასესხო ჩანაწერი არსებობს.

ხშირად მოქალაქეები რამდენიმე საკრედიტო პროდუქტით სარგებლობენ, ან ერთი ვალის დასაფარავად მეორე, მესამე სესხს იღებენ, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ ფინანსურ ვალდებულებებს და ხშირად ისეთ ღრმა ვალის ორმოში აღმოჩნდებიან ხოლმე, საიდანაც თავის დაღწევა ძალიან რთულია.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონაცემებით, შარშან ბანკებსა და კლიენტებს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების რაოდენობამ 10 მილიონზე მეტი შეადგინა. მათ შორის ლარში 9 551 906 ხელშეკრულება დაიდო, ხოლო უცხოურ ვალუტაში — 486 983.

რაც შეეხება „კრედიტიფონს“ მონაცემებს, მიმდინარე წლის 9 თებერვლის მდგომარეობით იქ 8 524 483 ჩანაწერია, აქედან 1 995 000 ფიზიკური პირისაა, ხოლო 23 700 — იურიდიული პირის. ამ 8 მილიონზე მეტი ჩანაწერიდან ბანკების წილად 6 706 994 ჩანაწერი მოდის, ხოლო 1 817 489 შემთხვევაში სესხი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ არის გაცემული ან ონლაინსესხია.

მიკროსაფინანსო სექტორი ძალიან სწრაფად იზრდება. პორტფელის მოცულობით

შესაძლოა ახლოსაც ვერ მიდის საბანკო სექტორთან, მაგრამ რაოდენობრივად საკმაოდ ბევრ სესხს გასცემს. საგრძნობლად არის მომატებული ონლაინგამსესხებლების წილი, რომლებმაც ბოლო ორ წელიწადში ძალიან გაზარდეს თავისი პორტფელი. ფაქტია, რომ ბაზარზე სესხებზე მოთხოვნა არის და ამ მოთხოვნას მთლიანად ბანკები ვერ აკმაყოფილებენ — არა იმიტომ, რომ რესურსი არა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ხშირად მსესხებელი ვერ აკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს.

შემდეგ ისინი მიდიან ჯერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში, შემდეგ ონლაინსესხების კომპანიასთან, რომლებიც ბანკებთან შედარებით გაცილებით მარტივად გასცემენ სესხებს. ასევე არ უნდა დავივიწყოთ ის სექტორი, რომელიც არ აღირიცხება და არავინ იცის, რა სასესხო პორტფელი მოდის კერძო მევახშეების წილად.

აღნიშნული პროცესების შეჩერებისა და შემცირებისთვის მიზანშეწონილია აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება, რაც, უპირველესად, მოითხოვს შობადობის სტიმულირებას, და ამასთან, მოკვდავობის შემცირებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფომ „არაწინააღმდეგობრივი კეთილდღეობის“, ანუ საპენსიო სისტემის სამართლიანობის პირობის (მეტ-ნაკლები) განხორციელება დაიწყო 2007 წლიდან სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით სამუდამო სიბერის პენსიაზე თანხის დამატებით შემდეგი წესის დაცვით, (25 წელზე მეტი სტაჟის დროს/დანამატი პენსიაზე 10 ლარი, 15-დან 25 წლამდე სტაჟის დროს/პენსიაზე დანამატი 7 ლარია, 5-დან 15 წლამდე სტაჟის დროს/პენსიაზე დანამატი 4 ლარია, 5 წლამდე სტაჟის დროს/პენსიაზე დანამატი 2 ლარია). აქვე აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო არ ივიწყებს საპენსიო სისტემის მეორე – დაუცველ მოქალაქეთა მინიმალური უზრუნველყოფის პირობასაც, რადგან პირებს, რომლებსაც არა აქვთ სამუშაო სტაჟი, მათ სახელმწიფო პენსიაში გასვლის შემდეგ უნაზღაურებს იმ დროისთვის არსებული სამუდამო სიბერის პენსიის თანხის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ სახელმწიფო პენსიონერთა უმრავლესობას ვერ შეუქმნის რეალური დიფერენცირებული პრინციპის ამოქმედებით რეალურ თვიურ მინიმალურ საპროცენტო ოდენობას, რადგან აუცილებელია გავიგოთ ისიც, რომ სოციალური მემკვიდრეობითობის სამართლიანობის შესანარჩუნებლად სახელმწიფო მიიჩნევს იმას, რომ მის მიერ შექმნილი კეთილდღეობის მომხმარებელი არის არა მხოლოდ ის პირები, რომლებმაც საპენსიო ასაკამდე შექმნეს საკუთარი საპენსიო ფონდი, არამედ მომხმარებელი არის ის პირებიც, რომლებსაც არ შეუქმნიათ საკუთარი საპენსიო ფონდი და არ მიუღიათ მონაწილეობა სოციალური მემკვიდრეობითობის პრინციპების დაცვაში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე საქართველოში ასაკით სიბერის პენსია 2004; 2005; 2006; 2007; 2010; 2011; 2013 და 2014 წლისთვის შესაბამისად შეადგენდა საშუალო ოჯახის წლიური საარსებო მინიმუმის 9,8; 17,5; 18,5; 19,1; 35; 41,1; 59,3 და 61,0 %-ს.

საქართველოში „სოციალური მემკვიდრეობითობის“ სამართლებრივი პრინციპის ამოქმედების პარალელურად ხელისუფლების წინაშე მკაცრად დაისვა საკითხი იმის შესახებ,

თუ მომავალში ვინ შეუქმნის მომლოდინებს „არაწინააღმდეგობრივად გამოყენებულ კეთილდღეობას“. საკითხისადმი პრობლემატურ მიდგომას განაპირობებს სტატისტიკოსების მიერ 1992-2003 წლის მონაცემების გაანგარიშებები. ანალიზით დადგინდა, რომ აღნიშნულ წლებში მნიშვნელოვნად მზარდი იყო გარე მიგრაცია და იგი ექსპერტების შეფასებით, ნახევარ მილიონ ადამიანს აჭარბებდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 2000 წელს მიგრაციულმა სალდომ შეადგინა – 35,2 ათასი კაცი. 2000 წელთან შედარებით 2002 წლისთვის მიგრაციული სალდო შემცირდა 7,4 ათასი კაცით (შეადგინა 27,8 ათასი კაცი).

2004-2005 და 2009-2010 წლებში საქართველოში მიგრაციული სალდო დადებითი მაჩვენებლებით შეფასდა. მიგრაციულმა სალდომ 2004 წელს შეადგინა 5,5 ათასი კაცი, 2005 წლისთვის გაიზარდა 76,3 ათასი კაცამდე, 2009 წელს შეადგინა 34,2 ათასი კაცი, 2010 წლისთვის 18,1 ათასი კაცი. საქართველოში მუშახელის უცხოეთიდან მოზიდვა 2004-2005 წლებში განაპირობა ქვეყანაში ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში აღებულმა „ახალმა კურსმა“, ხოლო 2009-2010 წლებში – მსოფლიო კრიზისმა, რაც განაპირობებს მოსახლეობის გაზრდას და მის გაახალგაზრდავებას.

მიგრაციის პრობლემა მოქმედებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ყოველი მეათე ადამიანი მიგრანტია, კერძოდ გაეროს ექსპერტთა შეფასებით, 1975 წლიდან დღემდე მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობა გაორმაგდა და მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 3%-ი ანუ 175 მილიონი ადამიანი დღეს არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა, რაც მეტყველებს მიგრაციის მასშტაბების ზრდაზე.

ამრიგად, მიგრაციის გამომწვევი როგორც პოლიტიკური (მათ შორის ეთნიკური წმენდა და გენოციდი), ეკონომიკური (მატერიალური პირობების გაუმჯობესება), რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური მიზეზებისა, ასევე ნებაყოფლობითი, იძულებითი (განხორციელების ფორმის მიხედვით), მუდმივი და დროებითი (დროითი განზომილებით) მიგრაციის მიზეზების შედგად, მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საქართველოდან გადინება მოხდა მეტწილად შრომისუნარიანი და რეპროდუქციული ახალგაზრდებისა, რამაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურისა და რიცხოვნობის ფორმირებაზე. საქართველოს

მოსახლეობა 1990 წელთან შედარებით 1995 წელს შემცირდა 6,7%-ით და შეადგინა 5061,7 ათასი კაცი, ახალშობილთა რაოდენობა (56341 ბავშვი) შემცირდა 395%-ით, გარდაცვლილთა (49073 კაცი) რაოდენობა — 3,2%-ით, ხოლო ბუნებრივი მატება შემცირდა 42094 კაციდან 7268 კაცამდე, ანუ 82,75%-ით. 2003 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 4315,2 ათასი კაცი, დაიბადა 46194 ბავშვი (10,7%), გარდაიცვალა 46055 კაცი (10,6%), ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 139 კაცი (0,1 %).

ამრიგად, ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება, მიგრაციული პროცესები და მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც შეეხება სოციალურ ფაქტორებს, იგი პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემას. ამ პრობლემის წინაშე დგას ბევრი განვითარებული ქვეყანა. გაეროს ექსპერტთა შეფასებით, ბევრი განვითარებული ქვეყნების მსგავსად, იტალიაში, გერმანიაში და საფრანგეთში შობადობამ იკლო, სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით, 65 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი საფრანგეთის მოსახლეობაში, დღეს თუ 25%-ია, 2050 წელს 50%-ს მიაღწევს. ეს მოცულობა უზარმაზარი წნეხის ქვეშ მოაქცევს საფრანგეთის მოქმედ საპენსიო სისტემას, რომელსაც თან ერთვის ეკონომიკური კრიზისი, რასაც საფუძვლად ედება უმუშევრობის ზრდა და თანდართული სოციალური გადასახადის ამოღების მკვეთრი შემცირება.

დასკვნა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინეს დემოკრატიული მოწყობისკენ მიმავალი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოს მმართველობით სისტემაში, რაც ითვალისწინებდა ახლად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოში მოქმედ ყველა სისტემაში ეფექტური და დროული რეფორმების განხორციელებას, აღნიშნული კი შეეხებოდა თვით სახელმწიფო საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას და შედეგზე ორიენტირებული ეტაპობრივი რეფორმების განხორციელებას. რეფორმის

პრაქტიკული რეალიზების შუქ-ჩრდილები გასული საუკუნის ბოლოდან დღემდე მნიშვნელოვნად იკვეთება და ეკონომიკურ გაანალიზებასა და შეფასებას ექვემდებარება.

კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიხატება საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში. ნაშრომში მოცემულ კვლევებზე დაყრდნობით მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური შედეგები გამოადგებათ სახელმწიფო საპენსიო სისტემის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მუშაკებს, მკვლევარებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და ბაკალავრიატის სტუდენტებს, ხოლო კვლევის პრაქტიკული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა აღმასრულებელი ორგანოების მუშაკთა მიერ.

რეკომენდაციები. საქართველოში ეკონომიკური მექანიზმებით პრინციპის დაცვის მიზნით ხელისუფლებამ მიზანშეწონილია განხორციელოს:

1. საპენსიო სისტემის სრულყოფისთვის და ეფექტური რეალიზებისთვის ისეთი თანმიმდევრული რეფორმები, რაც დაექვემდებარება საპენსიო ფონდის ზრდას, შესაბამისად „ღირსეული“ საპენსიო ოდენობის განსაზღვრას და პენსიების დიფერენცირებული პრინციპის ამოქმედებას თითოეულ „მომლოდინე“ პენსიონერზე;

2. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა, რაც უნდა ითვალისწინებდეს, ერთი მხრივ, ფათო მასშტაბიანი მიგრაციული პროცესების შეჩერებას, რასაც თან უნდა ახლდეს დასაქმების დონის ზრდა, ხოლო მეორე მხრივ, მოკვდავობის შემცირებასა და ამასთან შობადობის სტიმულირებას, რომლის მიმართაც სახელმწიფოს მიერ ამოქმედებული საყოველთაო დახვეწა, თავის მხრივ, საწყის ეტაპზე ეფექტის მომტანია.

3. სახელმწიფოს მიერ საპენსიო სისტემაში მიმდინარე რეფორმები და განხორციელებული აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა ხელისუფლებას დაეხმარება ქვეყანაში „სოციალური მექანიზმებითობის“ სამართლებრივი პრინციპის ამოქმედებაში ანუ „მომლოდინე“ პენსიონერებისთვის „არაწინააღმდეგობრივად გამოყენებული კეთილდღეობის“ შექმნაში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები 2004-2016 წლები. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=913&lang=geo
2. Якобсон Л. И. "Экономика общественного сектора". Мос., ГУ-ВШЭ, 1996, ст.45-50
3. Стиллиц Дж. Ю. "Экономика государственного сектора". Мос., ИНФРА-М, 2002, ст.55-67
4. Якобсон Л.И. "Государственный сектор экономики" Мос., ГУ-ВШЭ, 2000, ст. 25-42.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი სოციალური რისკების მართვაში



ასიე ცინცაძე,


ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ASIE TSINTSADZE,

Candidate of Economic Science, Professor

ანოტაცია

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ შეამცირა სახელმწიფოს მხარდაჭერა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაზე და გარკვეულწილად ეს ტვირთი ბიზნესს დაეკისრა, თუმცა ბიზნესი ამისთვის სრულიად მოუზნადებელი აღმოჩნდა და დღემდე სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის რეალიზება ისე, როგორც განვითარებული ქვეყნებში არის, ვერ ხდება. ნაშრომში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხის შესწავლისთვის ჩამოყალიბებულია სოციალური რისკების არსი და გამოკვეთილია ის რისკები, რომლის მართვა ბიზნესმა უნდა აიღოს თავისთავზე და რომელიც სახელმწიფოს მხრიდან უნდა იმართებოდეს. ყველა დროში ბიზნეს სუბიექტები საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, მათი მხრიდან საქმიანობის მიზნად მხოლოდ ეკონომიკური სარგებელი იყო აღქმული. სოციალური უკუგების განაკვეთი, რომელიც ასახავს სოციალური მიმართულებით გაწეულ ხარჯებს, არამონეტოზებულია და შესაბამისად, ბიზნესისთვის საინტერესო არ არის. „ეკონომისა“ და „გონიერი ეკონომის“ თეორიების საფუძველზე



თაბარ ღოღობერიძე,

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

TAMAR GHOGHOBERIDZE,

Doctorate of Economic and Business Faculty

აზნისილია სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის გატარების მიმართულებები, საგადასახადო ტვირთის შემცირების სანაცვლოდ სოციალური პასუხისმგებლობის ვალდებულების დაკისრების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. განხილულია საბანკო სექტორის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის გაგება და გატარებული ღონისძიებების შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: სოციალური რისკი, ეკონომი, გონიერი ეკონომი, საგადასახადო შეღავათი, ქველმოქმედება, ალტრუიზმი.

THE ROLE OF BUSINESS SOCIAL RESPONSIBILITY IN MANAGING THE SOCIAL RISKS

Abstract

The transition to market economy reduced state support on governing social-economic process and some extent, the burden imposed on business, but business was completely unprepared for it and still a policy of social responsibility is not realized as well as in the developed

countries. In the work for study of the CSR question it is established the essence of social risks and it is identified the risks, which must be managing by the business and the government should be run too. In all time the business subjects were caring about their welfare, only economic benefits were perceived as the aim of activities from them. Rate of social return, which reflects the social costs are not monetarism and therefore it is not interesting for business. On the bases of 'egoism' and 'intelligent egoism' theories, it is explained the directions of social responsibility policy, the article deals with social responsibility of the banking sector and it is formulated the recommendations on the bases of taken measures.

Keywords: *Social risk, Egoism, Intelligent egoism, Tax relief, charity, Altruism*

საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებაში, წარმოების საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური თუ სხვა ხასიათის რისკებისგან დაცვის უზრუნველყოფა. ეს, ერთი მხრივ, ფასდება უარყოფითად, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში რისკების ზრდის ფაქტორი. მაგრამ, მეორე მხრივ, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებამ აამაღლა ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური თავისუფლება და სოციალური პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა ბიზნეს სუბიექტები. ყველა სოციალური რისკი არ წარმოადგენს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ობიექტს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბიზნესი, როგორც კერძო სექტორი, ვერ იქნება საზოგადოების იმ სოციალური რისკებისგან დაცვის გარანტი, რომლის წარმოქმნა და გავრცელება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. იმისთვის, რომ სწორად განისაზღვროს ბიზნესის ვალდებულებები სოციალური მიმართულებით, აუცილებელია სოციალური რისკების განსაზღვრა.

სოციალური რისკები დასავლეთის მეცნიერების კვლევის საგანს დიდი ხანია, წარმოადგენს, მას იკვლევენ სოციოლოგები, ეკონომისტები. ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ რაც უფრო ვითარდებოდა კაცობრიობა, იზრდებოდა არსებული და ჩნდებოდა ახალი რისკები. კაპიტალიზმის ჩამოყალიბებამ სოციალური რისკები საზოგადოებისგან უყოფელი ნაწილი გახადა, რის საფუძველზეც ზოგიერთი სოციოლოგი განვითარებულ საზოგადოებას „რისკების საზოგადოებას“ უწოდებს. რისკის არსის ახსნა დაკავშირებულია მისი წარმოქმნის წყაროსთან, მიზეზთან, ამიტომ, ზოგადად, რისკები, რომლებიც შეიძლება ამოქმედდეს

და ზარალი მიაყენოს სუბიექტს ან მის მატერიალურ მდგომარეობას, მრავალფეროვანია. არსებული მოსაზრებით სოციალური რისკები ყველა დანარჩენი რისკებისგან განსხვავდება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

1 სოციალური რისკები არ შეიძლება იყოს იმ მიზეზების შედეგი, რომლებიც განპირობებულია ბუნებრივ-კლიმატური, ტექნოლოგიური პროცესებით ან ცალკეული პირების ქცევებით;

2 სოციალური რისკები მოიცავს მთელ საზოგადოებას, მაგრამ იგი უარყოფითად აისახება მხოლოდ ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე.

რეალურ ცხოვრებაში სოციალური რისკს აქვს კონკრეტული გამოვლინება: მოხუცებულობა, ინვალიდობა, მარჩენალის დაკარგვა, უმუშევრობა, ღროებითი შრომისუუნარობა, შშობიარობა, მრავალშვილიანობა, სიღარიბე და სახელმწიფოს სოციალურ უზრუნველყოფის სისტემის ბაზას წარმოადგენს. ქვეყანაში შექმნილი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ისე უნდა აოგოს, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ცალკეული სახის სოციალური რისკების რეალიზაციისგან მიღებული ნეგატიური შედეგები. ჩამოთვლილი რისკებისგან დაცვის ფინანსური უზრუნველყოფა გადასახადებით ფორმირებული შემოსავლებიდან ხდება. აქედან გამომდინარე, ბიზნესი, როგორც გადასახადის გადამხდელი, არაპირდაპირ მონაწილეობს სოციალური რისკების შემცირებაში. ამ ნაშრომში აქცენტი კონკრეტულად რისკების შემცირებაში ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაზე იქნება გადატანილი, რომლის არსი ჯერ კიდევ ვერ იქნა აღქმული როგორც ბიზნესის, ასევე საზოგადოების მხრიდან. ვ. დ. როიკი წიგნში „პროფესიული რისკები“ სოციალურ რისკს განმარტავს შემდეგნაირად: სოციალური რისკი არის საშიშროებათა მასიური სახეები, რომლებიც აუარესებენ მოსახლეობის დიდი ჯგუფების სოციალურ მდგომარეობას და ასევე სოციალურ რისკებად მიიჩნევა ის საშიშროებები, რომლებიც წარმოიქმნება საზოგადოებრივი ხასიათის მიზეზებით და მისგან დაცვა ინდივიდუალურად შეუძლებელია. ამ განმარტების „ფართო გაგებით“ სოციალური რისკები, არის იმ ფაქტორთა ჩამონათვალი, რომლებიც არღვევენ მოქალაქეთა ნორმალურ სოციალურ მდგომარეობას მათი ჯანმრთელობის, შრომისუუნარიანობის დაკარგვით ან სამუშაო ძალაზე მოთხოვნის არ არსებობით, რაც იწვევს მათი მატერიალური უზრუნველყოფის შეულებლობას. როგორც ვხედავთ, ვ.დ. როიკი თავის განმარტებაში სოციალურ

რისკებს უკავშირებს მხოლოდ მოქალაქეთა შრომით საქმიანობას, შრომის ბაზრის განვითარებას. სინამდვილეში კი, სოციალური რისკების ზემოქმედება ვრცელდება შრომითი საქმიანობის ურთიერთობების გარეშეც: სხვადასხვა დაავადებები, დაზიანებები ავარიის შედეგად, ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა. რომელი რისკები უნდა გახდეს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საგანი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავანალიზოთ სოციალური პასუხისმგებლობის არსი და მისდამი დამოკიდებულება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. სოციალური პასუხისმგებლობის ცნება გაჩნდა დიდი დეპრესიის პირობებში, როდესაც უმუშევართა რაოდენობა კატასტროფულად იზრდებოდა და საწარმოთა ნაწილმა გადარჩენის გზად მენეჯმენტის ცვლილება დაისახა მიზნად. თუმცა ამ იდეას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია 60-იან წლებამდე. სოციალური პასუხისმგებლობა თავდაპირველად ფილანტროპიის სახით მიმდინარეობდა, საწარმოთა ხელმძღვანელები მასში მხოლოდ ერთჯერად დახმარებებს, პერსონალის სოციალური მდგომარეობის დროებით შემსუბუქებას და სხვადასხვა სახის ქველმოქმედებებსა და სპონსორობას ხელაუდნენ. კორპორაციის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა მისი მესაკუთრეების – აქციონერების კეთილდღეობის მაქსიმიზაციის მიღწევის გარეშე და პირიქით, კორპორაციის მმართველთა და დასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის გაუთვალისწინებლობა ეწინააღმდეგება აქციონერთა მიზანს – მიიღონ მაქსიმალური მოგება დაბანდებულ კაპიტალზე. „კაპიტალისტური ქველმოქმედების დოქტრინა“ ამართლებს საწარმოთა ქველმოქმედებას, მაგრამ არა მხოლოდ დასაქმებული პირების, არამედ მთელი საზოგადოების წინაშე. საბაზრო პრინციპების დანერგვა სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის სწორად გააზრებას და გამოყენებას მოითხოვს პარტნიორების, მომხმარებლების, დასაქმებულების, მმართველი ორგანოებისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე. სხვადასხვა ზომისა და საქმიანობის საწარმოთა პასუხისმგებლობა განსხვავებულია. მცირე ზომის საწარმოთა მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ხარჯები შეიძლება, მძიმე ტვირთი აღმოჩნდეს. დიდი ზომის საწარმოები, კორპორაციები უფრო მოქნილი არიან სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამების განხორციელებაზე, უფრო მეტიც, მათ სტარატეგიულ გეგმაში შეაქვთ ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები. ზოგადად, კერძო სექტორი

საკუთარ კეთილდღეობაზეა ორიენტირებული და ნაკლებად არის აღქმული სოციალური მიმართულებით ხარჯების გაწევისგან მიღებული სარგებელი. ამიტომ ხარჯების გაწევის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ უკუგების განაკვეთი, რომელიც სარგებელს პირდაპირ ფულში გამოხატავს. თუ დავეყრდნობით ვ.როუზის განმარტებას სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო პროექტებიდან მისაღები სარგებლის განაკვეთში სოციალური უკუგების განაკვეთის ჩართვის შესახებ, ადვილი მისახვედრია, რომ ბიზნესი, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი, უნდა ითვალისწინებდეს არა მონეტარიზირებულ სარგებელსაც, რომელსაც მართალია, ფულად ფორმაში ვერ ღებულობს, მაგრამ გაწეული ხარჯი სოციალური უკუგების სახით გრძელვადიან პერიოდში აისახება მომხმარებელთა მხრიდან უპირატესობის მინიჭებაზე, პარტნიორებთან ურთიერთობების მდგრადობაზე, დასაქმებულების შრომითი მოტივაციის ზრდაზე, ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერაზე და ა.შ. სამეწარმეო საქმიანობის დასაწყისიდან განვითარებულ მდგომარეობამდე მისვლა რამდენიმე ეტაპისგან შედგება:

- დასაწყისში მეწარმის საქმიანობა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მიმდინარეობს, ამიტომ ამ ეტაპზე ზრუნვა უფრო საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზეა ფოკუსირებული და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა ნულს უტოლდება;

- მეორე ეტაპზე მეწარმე აანალიზებს გაწეულ საქმიანობას, ახდენს ღირებულებების გადაფასებას, მეტი მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორებს, მომხმარებლებს, დასაქმებულებს, ანუ მოთხოვნა საკუთარ თავთან სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპის რეალიზაციაზე იზრდება;

როგორც ვხედავთ, ბიზნესის წარმოების საწყის ეტაპზე თავს იჩენს ე.წ. ეგოიზმი, რომელიც აბრკოლებს სოციალური პასუხისმგებლობის გააზრებას მენეჯმენტის მხრიდან. სოციალური უკუგების განაკვეთის ჩართვა გაწეული ხარჯების შეფასებაში სწორ წარმოდგენას შეუქმნის მეწარმეს მოსალოდნელ მოგებაზე. რთულია ხარჯების გაღება, როდესაც კეთილდღეობა, რომელიც მიეწოდება დასაქმებულ პერსონალს და საზოგადოებას, პირდაპირპროპორციულად არ აისახება წარმოების ზრდა-განვითარებაზე. ეგოისტური მოტივები ადამიანში მუდმივად არსებობს, მაგრამ მისი გარდაქმნა გონიერ ეგოიზმში ისევ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ხდება. მეწარმის მისწრაფება

მიიღოს მაღალი მოგება, მხოლოდ სამეწარმეო პროცესის სწორად წარმართვას არ გულისხმობს, მოვა დრო წარმოების ცხოვრებაში, როდესაც ისევ და ისევ საკუთარი ეგოისტური მიზნების განსახორციელებლად დღის წესრიგში დგება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა, რაც სოციალური პასუხისმგებლობის სახით ვლინდება. ეს ე.წ. გონიერი ეგოიზმია, რომლითაც, არისტოტელეს განმარტებით, „სიკეთის გამცემმა უნდა იამაყოს,, და ხსნის, რომ მსხვერპლად გაღება უდიდესი სიამოვნებაა დაკავშირებული სიკეთის კეთებასთან. არისტოტელეს ეს განმარტება უფრო გამოხატავს ეთიკური ქცევის თეორიას, თუმცა მაინც ითვლება სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის პლატფორმად, ვინაიდან მეწარმის ქცევა, სოციალური მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების გასატარებლად, დიდი პროცენტით საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. „გონიერ ეგოიზმს“ ფრიდმენი ეკონომიკური არსით გამოხატავს და ამბობს, რომ მოქმედებს რა ადამიანი საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისთვის, ხშირად ღებულობს შედეგს, რომლითაც კმაყოფილება საზოგადოებრივი ინტერესი, თუმცა ეს განზრახული არ ჰქონია [2. გვ.157]. ბიზნესისთვის ქველმოქმედება, ერთჯერადი დახმარება, სპონსორობა და ამ ყველაფრის რეკლამირება არ წარმოადგენს სოციალურ პასუხისმგებლობას. ამგვარი ქმედებებით ვერ ხდება საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა და შეიძლება ჩაითვალოს, რომ გაწეული ხარჯი მომავალში ბიზნესის განვითარებაზე დადებითად ვარ აისახება. საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ჩანასახოვან ფორმაშია. მეწარმეთა მხრიდან ადგილი აქვს ერთჯერადი სახით ალტრუისტულ ქმედებებს, თუმცა ეს, უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოების იმ ნაწილის გაღიზიანებას იწვევს, ვინც საჭიროებს დახმარებას და ვერ მიიღო. გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი ბიზნესი არც თუ ისე ბევრია საქართველოში, ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა საფინანსო ინსტიტუტების მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ჩარჩო. საქართველოში მოქმედებს 19 კომერციული ბანკი, რომლებიც დიდი ფინანსური კაპიტალის მფლობელები არიან (2015 წლისთვის აქტივების საერთო მოცულობამ 24 მილიარდი ლარი შეადგინა.) კომერციული ბანკები ჩართული არიან სხვადასხვა: — განათლების, ხელოვნების განვითარების, სტიქიით დაზარალებულთა — სოციალურ პროექტებში. მაგალითად, 2015 წელს „ვითიბი ბანკმა“ სოციალური პა-

სუხისმგებლობის მიმართულებით 3 000 000 ლარი გაიღო, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა „ბანკ რესპუბლიკისთვის“ კვლავაც ერთ-ერთ უპირატეს საკითხად რჩება. ბანკი რეგულარულად ახორციელებს მრავალ სოციალურ პროექტს საზოგადოების კეთილდღეობის მხარდასაჭერად, „პაშა ბანკი — საქართველო“ მხარს უჭერს და აქტიურად მონაწილეობს კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროექტში. სოციალური პასუხისმგებლობა პროკრედიტ ბანკის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. მასვე ეფუძნება ბანკის ბიზნეს მოდელი. „პროკრედიტ ბანკი“, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული და სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი ბანკი, ყველა სახის საქმიანობას პასუხისმგებლიან საბანკო საქმიანობის პრინციპებზე აფუძნებს., „ფინკა ბანკი,, აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სოციალურ პროექტებს და სხვა. არის თუ არა ჩამოთვლილი აქტივობები ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მოთხოვნების შესაბამისი? ჩვენი აზრით, სოციალური პასუხისმგებლობა თვით ბიზნესის განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული. ერთჯერადი დახმარებები, ერთჯერადად განხორციელებული პროექტები ემსახურება ადამიანთა მცირე ნაწილის დაკმაყოფილებას. სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები გათვლილი უნდა იქნას ფართო მასებზე. დღეისთვის საკრედიტო დავალიანება დაახლოებით 2 მლნ ადამიანს აქვს. ეს ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ტიპის სესხი მთელი ქვეყნის მოსახლეობის 54%-ს აქვს. ეს კომერციული ბანკის მომსახურების მომხმარებლები არიან, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შედეგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის თავად ბიზნესის კეთილდღეობის ზრდა, ოღონდ დაფუძნებული საზოგადოების, პარტნიორების, დასაქმებულების კეთილდღეობის ზრდაზე. პარტნიორების კეთილდღეობა კომერციული ბანკების მოგებით განისაზღვრება და სოციალური პასუხისმგებლობიდან შეიძლება გამოვყოთ. მთავარი ობიექტი, რომლისკენაც უნდა იყოს მიმართული სოციალური პასუხისმგებლობა, არის მოსახლეობა. როგორც უცხოური გამოცდილება აჩვენებს, კომერციული ბანკების სოციალური პასუხისმგებლობა, სწორედ რომ, კლიენტებისაკენ არის მიმართული. სესხის რთული პირობები, არასწორად შეფასებული გირაო, რაც შემდგომ მოქალაქეთა ქონების, ხშირ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის დაკარგვას

იწვევს, ვერანაირად ვერ თავსდება ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაში. ბოლო პერიოდში სავალუტო კრიზისმა საგრძნობლად დააზარალა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც სესხი დოლარში თუ ლარში აქვს, მაგრამ სოციალური პასუხისმგებლობის მსგავსი ღონისძიება არცერთ ბანკს არ გაუტარებია. ჩვენი აზრით, კომერციული ბანკების სოციალური მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები უფრო ხელისუფლების მხარდაჭერის მოპოვების მექანიზმის როლს ასრულებს, ის სცილდება წმინდა „ეგოიზმის“ თეორიის ჩარჩოს, მაგრამ ვერ ჯდება „გონიერი ეგოიზმის“ თეორიაში – დაიკმაყოფილო საკუთარი ინტერესი, ისე, რომ ზიანი არ მიაყენო სხვის ინტერესს, ვინაიდან ბოლო პერიოდში გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები, სავალუტო კრიზისი, იპოთეკით დაზარალებული მოსახლეობის მოთხოვნების უგულებელყოფა ეწინააღმდეგება განვითარებულ ქვეყნებში სოციალური პასუხისმგებლობის ფორმებს. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ვთვლით, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება და მისგან უკუგების მიღება დაკავშირებულია რაც ფაქტორებთან, რომელთაგან გამოვყოფთ შემდეგს:

1. წარმოების განვითარება, ბაზრის ათვისება არა უცხოური, არამედ ეროვნული წარმოების საქონლით, რადგან საქონლის ექსპორტიორი ნაკლებად აკებს პასუხს წარმოებული საქონლის ხარისხზე;
2. საზოგადოების განათლების ამაღლება სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის არსში;
3. სახელმწიფოს მიერ მარეგულირებელი კანონის შექმნა, რომლითაც განისაზღვრება სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის

შემცირების შესაძლებლობას.

ლიტერატურა:

1. **ცინცაძე ა. მელოიანი ლ.** „სოციალური რისკები და მისგან დაცვის მექანიზმები“ ჟურნ. ეკონომიკა №1-2. 2012, გვ. 105. [Tsintsadze A. Meloyan L. «Social risks and protection mechanisms» mag. Economy №1-2. 2012, p. 105.]
2. **Фридман М.** «Капитализм и свобода», Пер. с англ., Новое издательство, М.2006. [M. Friedman «Capitalism and Freedom», Trans. from English., New publishing, M.2006]
3. **Н. В. Башка, А.А. Данилюк,** Корпоративная социальная ответственность, учебное пособие, издательство Тюменского государственного университета. 2013 г. [N.V. Bashka, A.A Danyluk, Corporate Social Responsibility, a textbook, publishing Tyumen State universitetab 2013]
4. „რეზონანსის“ ვებ-გვერდზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, WWW.RESONANCEDAILY.CO/ 2015-02-17 [The results of the survey on the website «Resonance»]
5. **Роик В.Д.** „Профессиональные риски. - М.: АНКИЛ. 2004 [Roic VD «Professional risks. - M.: ANKIL. 2004]
6. **ბერიძე ლ.** ქველმოქმედება, როგორც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტი, ბიზნესი და კანონმდებლობა 2009 №5-6 . [Beridze I. Charity, as a component of social responsi-

გატარების სუბიექტები, ობიექტები, ფორმები, პასუხისმგებლობის ჩარჩო;

4. საგადასახადო შეღავათების დაწესება იმ ბიზნესისთვის, რომელიც განახორციელებს სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკას. მაშინ, როცა სახელმწიფო ბიზნესის დაბეგრებიდან მიღებული შემოსავლით აფინანსებს სოციალურ ხარჯებს, ეს მიდგომა წაახალისებს ბიზნესსაც და სახელმწიფოს განტვირთავს ნაწილი სოციალური ხარჯებისგან;

5. სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის გატარება განისაზღვროს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესისთვის, ანუ მცირე ზომის ბიზნესისთვის ვალდებულებად დაწესდეს ისეთი სოციალური საკითხების გადაჭრა, რომელიც თავსდება მათი შესაძლებლობის ფარგლებში: სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმებულთა სამედიცინო დაზღვევა, პროდუქციის ხარისხის დაცვა, ეკოლოგიური რისკების მინიმიზაცია. საშუალო და მსხვილი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ფართოდ უნდა იქნას წარმოდგენილი: სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების პროგრამაში მონაწილეობა, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, პარტნიორთა მოთხოვნების გათვალისწინება, გარემოს დაცვითი ღონისძიებების ჩატარება და სხვა.

ამგვარად, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბიზნესს, საზოგადოებას და სახელმწიფოს. მათი საქმიანობა აკებულია ურთიერთ სარგებლიანობაზე, რაც საბოლოოდ ამაღლებს ბიზნესის მომგებიანობას, საზოგადოების კეთილდღეობას და სახელმწიფოს აძლევს სოციალური ხარჯების

რუბრიკა მილოსვაბი

პროფესორ რევაზ გოგობიას 80 წლის იუბილე



2016 წლის 28 აპრილს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, გამოჩენილ მეცნიერს, ღვანლმოსილ პედაგოგს, ავტორიტეტული ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს დამაარსებელს, მის ურვლელ მთავარ რედაქტორს, ძვირფას ადამიანს, ბრწყინვალე კოლეგას ბატონ რევაზ გოგობიას დაბადებიდან 80წელი შეუსრულდა.

შთამბეჭდავია ბატონი რევაზ გოგობიას ურთიერთობა კოლეგებთან, განსაკუთრებით უძროს კოლეგებთან. მას ახასიათებს ღია, ალაღი, სამეგობრო ურთიერთობა გამორჩეული პრინციპულობით, ობიექტურ-ობიექტური ამავე მოთხოვნებით სხვებისგანაჲ.

მე ვერ ვიქნები ბატონი რევაზის ცხოვრებისეული და პროფესიული გზის შემფასებელი, რატომაც არა თავს მივრეპ ამის უფლებას. ამასთან, მინდა ხმაძალდა ვთქვა, რომ ბატონი რევაზი მისაბაძი პიროვნებაა ადამიანური თვისებებით, პატიოსანებით, უმნიკვლოებით, რაფინირების მაღალი ხარისხით. მას ნებისმიერ სიტუაქრიაში ახასიათებს ჯანსაღი და სასიამოვნო გარემოს შექმნის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომაცაა ის პოპულარული კოლეგებში, საზოგადოებაში.

ბატონ რევაზი გოგობიას ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე თეორიული წოდნის მაშტაბურ შესაძლებლობებთან ერთად ღიდი პრაქტიკული გამოცდილებაც გააჩნია, რასაჲ ემატება უაღრესად შემოქმედებითი, გულშემატკივრული დამოკიდებულება ახალგაზრდა ავტორების მიმართ, რომელთა სტატეიები, ნერილები, მონოგრაფიები რედაქტირების შემდეგ თავისივე დაარსებულ მეტად ავტორიტეტულ ჟურნალში, ხასიათდება მაღალი აკადემიურობით და კიდევ უფრო ხელმისაწვდომი ხდება მკითხველთა ფართო წრისათვის.

ჩემი აზრით ბატონი რევაზი ღვთისაგან ბოძებული ნიჭის, კარმომყვარეობასა და ჯანმრთელობასთან ერთად ფლობს შესაშური შრომის ნაყოფიერების, მაღალი საზოგადოებრიობის საოჯარ შესაძლებლობებს, რაჲ ბუნებრივია ყველა ადამიანის ხვედრი ვერ იქნება.


ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების სახელით ვულორავთ ღირსშესანიშნავ იუბილეს. კვლავაც ვუსურვებთ ნარმატებებს, ჯანმრთელობასა და მისთვის ჩვეული თანადგომის შესაძლებლობებს.

მოკრძალებული პატივისცემით,

რევაზ მანველიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რუბრიკა — ახალი ნიშნები



ლამარა ქოქიაური

ფინანსების დიდი ენციკლოპედია

საქართველოში, ჩვენს ქალაქში, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც კოლოსალურად ბევრს შრომობენ, უხმაუროდ იღვწვიან ქვეყნისა და ხალხისათვის. რაც არ უნდა გასაოცარი იყოს მკითხველისათვის, მათ თავის გამოჩენა არ უყვართ, პირიქით, ზედმეტ ქებასა და საკუთარი წარმატების შესახებ საუბარს გაურბიან.

კიდევ ერთი გარემოებაც, უნდა აღინიშნოს - დღეს საქართველოში მეცნიერ-ქალებზე საერთოდ არ წერენ ან წერენ ძალიან იშვიათად, არადა ჩვენს ქვეყანას ჰყავს ძალიან გამორჩეული, ღვთის ნიჭით მომადლებული, სწავლული ქალბატონები. უსაზღვროდ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი შრომის ნაყოფი და ღვაწლი, შერწყმული ჭკუემართად მაღალზნეობრივ თვისებებთან:

სიკეთესთან, ქველმოქმედებასთან, უანგარო სიყვარულთან, მაღლიერებასა და ამაგის დაფასებასთან, თავმდაბლობასთან, სამშობლოს, ქვეყნის საერთო ტკივილის გათავისებასთან, თუ დაკისრებული მოვალეობებისადმი უდიდეს პასუხისმგებლობასთან.

სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ გვერდით მოღვაწე, ჩვენი თანამედროვე ქალბატონი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლამარა ქოქიაური, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მარცვალ-მარცვალ აგროვებს, ქმნის და ამზეურებს სიკეთეს, სიყვარულს, ზრუნვას, ყველაფერს საუკეთესოს, რაც მამაზეციერს მისთვის დაუნათლავს.

სწავლობდა და დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის

ნიჭიერთა სკოლა, ამავობს ამ სახელოვანი სკოლის პირველი გამოშვებით და კიდევ იმით, რომ პირველად იქ შეხვდა უდიდეს ქართველ მათემატიკოსებს - ნიკოლოზ მუსხელიშვილს, ილია ვეკუას, ვალერიან მელაძეს და სხვებს.

ბედნიერად თვლის თავს, რომ სწავლობდა და თითქმის 30 წელი მუშაობდა დედაუნივერსიტეტის ისეთი სახელოვანი ტრადიციების მქონე კათედრაზე, როგორიცაა ფინანსები და კრედიტი, სადაც მოღვაწეობდნენ ქართული ეკონომიკური მეცნიერების ბუმბერაზები - ვასილ ჩანტლაძე და პაატა გუგუშვილი - მისი პედაგოგები და გზის გამკვალავნი მეცნიერებაში.

ქალბატონი ლამარა პირველი პროფესორი ქალია საქართველოში ფინანსებისა და კრედიტის სფეროში. იგი 228 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20 მონოგრაფიის და 22 სქელტანიანი სახელმძღვანელოს ავტორია. სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებად თავიდანვე შეარჩია 80-იანი წლებისათვის თითქმის შეუსწავლელი სფერო - ინვესტიციები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი პიონერია ჩვენს ქვეყანაში საინვესტიციო პრობლემების დაყენებისა და შესწავლის საკითხებში.

ქალბატონმა ლამარა ქოქიაურმა შვიდი წლის წინ დააფუძნა და დღემდე ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას - საფინანსო-საინვესტიციო პოლიტიკისა და სტრატეგიის ფონდს, რომლის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფერო. ფონდი აქტიურად საქმიანობს საერთაშორისო ასპარეზზეც: ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, თანამშრომლობს საყოველთაოდ აღიარებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების თარგმნისა და გამოცემის საქმეში და ა. შ.

ამ სტატიაში გესაუბრებით ფონდის ხელმძღვანელის, პროფესორ ლამარა ქოქიაურისინიციატივითა და მრავალწლიანი რუდუნებით შექმნილ ნაშრომზე - ფინანსების ენციკლოპედიურ განმარტებით ლექსიკონზე.

მოვიშველიებთ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარი რედაქტორის, ბატონი ზურაბ აბაშიძის სიტყვებს -

„ენციკლოპედია არის ერის ერთგვარი სარკე, წარსულის მათიანე (ჩვენ დავამატებდით - აწმყოსა და მომავლის განმსაზღვრელიც - ავტორები), მისი კულტურისა და განათლების დონის მაჩვენებელი. ამიტომ ნებისმიერ ამგვარ გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის.”

ახლად გამოცემული ენციკლოპედია მეცნიერი ქალბატონის მრავალწლიანი შრომის შედეგია. მასში ასახულია ქვეყნის ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო - ს ა ბ ა ნ კ ო - ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო სფეროში მიმდინარე დიდი ძვრები და ცვლილებები. მეოცე საუკუნის მიწურულს „რკინის ფარდის” დამსხვრევის შემდეგ გაიზარდა ქვეყნების ურთიერთკავშირები, მოხდა მათი გათავისუფლება პოლიტიკური და ეკონომიკური ბარიერებისაგან.

ფინანსური საქმიანობის გლობალიზაციამ წარმოშვა არაერთი ახალი, აქამდე ჩვენი ეკონომიკისათვის უცნობი ფინანსური ინსტრუმენტი; ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ დააჩქარა არა მარტო ბაზრის მონაწილეთა შორის კომუნიკაცია, არამედ პრინციპულად ახალი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით უფრო დაცული გახდა ფინანსური ოპერაციების წარმოება, რითაც შეამცირა ფინანსური რისკები და დანაკარგები. ავტორი შეეცადა ენციკლოპედიაში აესახა ყველა ეს და სხვა მნიშვნელოვანი სიახლე. მისივე სიტყვებით - „შევეცადე, მოკრძალებული წვლილი შემეტანა ახალი ათასწლეულის ფინანსური, საკრედიტო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად საერთო ენის შექმნაში”, ამასთან, ავტორს წინამდებარე ნაშრომით სურს ხელი შეუწყოს იმ პროფესიული, კულტურული და ენობრივი ბარიერების დამსხვრევას, გადალახვას, რომელთა გარეშეც საქართველო საუკუნეზე მეტი ხნით იზოლირებული იყო დანარჩენი მსოფლიოსაგან.

ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და გლობალიზაციის პირობებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ახალი ეკონომიკური და ფინანსური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი. სარეცენზიო შრომა ამ მხრივაც განსაზღვრულ, პოზიტიურ როლს შეასრულებს. ამავე დროს, მასში ჩართულია ფინანსისტე-

ბის და ბანკირების ენის უკვე ტრადიციული, მყარად დამკვიდრებული ტერმინები. კერძოდ, იგი მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტორული პრაქტიკის, კომერციული და სამომხმარებლო კრედიტის, ფინანსური სახსრების, დაზღვევის, საერთაშორისო საფინანსო და საბანკო ოპერაციების, ამ სფეროების კანონმდებლობის და რეგულირების, ფინანსური და საბანკო პროდუქტების მარკეტინგის და გაყიდვების, ანგარიშსწორებისა და ანგარიშგების ავტომატიზირებული სისტემების, ფასიანი ქაღალდების და ინვესტიციების, უძრავი ქონების დაკრედიტების და ა.შ. ახსნა-განმარტებებს. ამასთან, ავტორი უბრალოდ კი არ იფარგლება ტერმინების რუსული და ინგლისური ენებიდან თარგმნით, არამედ იძლევა მათ სიღრმისეულ ახსნა-განმარტებას.

საინტერესოა ფინანსების ენციკლოპედიის გამოცემის ავტორისეული იდეა. შესაძლებელია ამ სფეროში გაუცნობიერებელი მკითხველისათვის გაურკვეველი იყოს ახალი ფინანსური განმარტებითი ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონის შექმნა, მაგრამ ქალბატონი ლამარა ქოქიაური ფინანსებში ენციკლოპედიის გამოცემას შემდეგი ფაქტით ხსნის: დღემდე საქართველოში ხელმისაწვდომი იყო ფინანსურ-საკრედიტო ლექსიკონები მხოლოდ რუსულ და ინგლისურ ენებზე, კერძოდ, რუსულ ენაზე — ვ.კარბუზოვის რედაქტორობით 1984-1988 წლებში გამოცემული ფინანსურ-საკრედიტო ლექსიკონი და ა. გრიანოვას რედაქტორობით 2004 წელს გამოცემული ფინანსურ-საკრედიტო ენციკლოპედიური ლექსიკონი; ინგლისურ ენაზე: 1997 წელს გამოცემული ფინანსების ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონი; 1997 წელს ჩარლზ ვულფელის საბანკო საქმისა და ფინანსების ენციკლოპედია; 1995 წელს ჯ. ლონის და ჯ. გუდმანის ფინანსების და ინვესტიციების ტერმინების ლექსიკონი; 1993 წელს მ. ჯერი როზენბერგის ინვესტირების ლექსიკონი; 2003 წელს გამოცემული ფ. ჯეიმს ნიელსენის საბანკო ტერმინოლოგია და ა.შ. თუმცა ისინიც უკვე სრულად ვეღარ ასახავენ ფინანსურ-საკრედიტო სფეროში მიმდინარე ახალ რეალობებს, მეტიც: ენობრივი ბარიერის გამო ზოგიერთი მათგანის ქართველი მომხმარებლის მიერ

გამოყენებაც გაძნელებულია.

თუ არ ჩავთვლით ზოგადად ეკონომიკასა და დემოგრაფიაში გამოცემულ პ. გუგუშვილის, ლ. ჩიქავას, რ. ასათიანის, ა. სილაგაძის და სხვ. გამოცემულ ნაშრომებს, ფინანსებში, საბანკო საქმესა და ინვესტიციებში დღემდე არ გამოცემულა დარგობრივი ხასიათის არც ერთი სერიოზული ტერმინოლოგიური, არც ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებითი ლექსიკონი, მით უმეტეს, ინგლისური და რუსული შესატყვისებით.

II 177 ტერმინისაგან შემდგარი ენციკლოპედია ფინანსებში მომზადდა და გამოიცა იმ იმედით, რომ იგი ხელს შეუწყობს და დააჩქარებს ფინანსებში, საბანკო საქმესა და ინვესტიციებში ინფორმაციისა და იდეების გაცვლას, გარკვეულ წვლილს შეიტანს ტერმინების უნიფიკაციაში, პოზიტიურ როლს შეასრულებს ახალი ათასწლეულის ფინანსური, საკრედიტო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად ახალი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში.

ფინანსების განმარტებითი ლექსიკონის აღნიშნულ გამოცემას წინ უძღვოდა ფინანსების, საბანკო საქმის და ინვესტიციების ერთიანი ტერმინოლოგიის ერთთომეულის გამოცემა 2009 წელს. წინამდებარე შრომის გამოცემით ავტორმა, ფაქტია, რომ შეძლო თავისი უდიდესი მნიშვნელობის ჩანაფიქრის განხორციელების დიდი ეტაპის განხორციელება - მოიძია, სისტემაში მოიყვანა, შეაჯერა, მკითხველისათვის გასაგები ენით წარმოადგინა უშუალოდ ფინანსური მეცნიერების შესახებ არსებული თითქმის ყველა ტერმინის სახელწოდება, ეტიმოლოგია, რუსული და ინგლისური შესატყვისები.

ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სიტყვას იმდენი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, სპეციალიზაციის რამდენი სფეროც არსებობს. ფინანსების ენციკლოპედიის მიზანია, ფართოდ მოიცვას ყველა ეს ტერმინი და მოხდეს მათი მრავალსახეობიდან ცალკეული საკვანძო მნიშვნელობის დეფინიციების განსაზღვრა. ამდენად, განმარტებითი ლექსიკონი ხელს შეუწყობს, რათა სპეციალისტებმა

ზუსტად, სწორი ტერმინოლოგიით გამოთქვან თავიანთი აზრი ეკონომიკის ამ სფეროში.

ნიჭით და შრომისმოყვარეობით განთქმული ქალბატონი ერთ-ერთ თავის შრომაში წერს, რომ ყველა ადამიანი გარკვეული მისიით არის ამქვეყნად მოსული. რაოდენ სასიხარულო და დასაფასებელია, რომ მისთვის ამ ცხოვრების მიზანი, სიკეთის თესვასა და ცოდნის შექმნასთან ერთად, ახალგაზრდა თაობის, სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისათვის და არა მარტო მათთვის, შესანიშნავი მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო შრომების შექმნაა.

ერთი იშვიათი მოვლენის ახსნასაც შევეცდებით - მეცნიერი ქალბატონი ქართველ ეკონომისტთა შორის ერთი გამორჩეული თვისებითაცაა ცნობილი - რასაც ხელს მოპკიდებს, ბიზნესი იქნება ეს თუ განათლების სფერო, თავისი მუშაობის და კვლევის არეალში მოაქცევს, იმდენად სრულყოფილად და ყოვლისმომცველად შეისწავლის და მიაწვდის ხოლმე საზოგადოებას, რომ ამ უკანასკნელს საფუძველი არ აქვს, რომ არ დაეთანხმოს. ასეთია მისი დიდი ნაშრომები „ინვესტიციის ბაზარი“, „საინვესტიციო საქმე“ და „ინოვაციები“; აგრეთვე მისი საყოველთად აღიარებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები - „საბანკო საქმე“, „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა“, „ფინანსური ბაზარი და ფასიანი ქაღალდები“ და ა.შ. ასეა ახლაც. იმდენად დიდი, სრულყოფილი და სრული სახითაა ფინანსური ენციკლოპედია წარმოდგენილი, რომ მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ფინანსების დიდი ენციკლოპედია“.

დღეს ამ სტატიაში სამართლიანად არ „გვენანება“ მეცნიერ ქალბატონზე კარგი სიტყვის თქმა. ამიტომ ერთსაც დავამატებდით - ამგვარ შრომებს ათეულობით ადამიანის რამდენიმეწლიანი, მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდება; ვინც გამოცდილია და უმუშავია ამ სფეროში, იცის, რა დამღლევი შრომა, რუდუნება სჭირდება ამგვარი ენციკლოპედიების შექმნასა და გამოცემას. ასე იქმნება და გამოიცემა საქართველოში მდიდარი ენციკლოპედიები, ტერმინოლოგიური ლექსიკონები. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეს ქართველ საზოგადოებას ერთი ადამიანის

მიერ დაწერილი, გამოცემული საერთო ჯამში 131 ნაბეჭდი-თაბახის, „მოკრძალებული“, მშვენიერი ნაშრომი წარმოვუდგინეთ.

ფინანსების ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი პროფესორ ლამარა ქოქიაურის შემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. იგი თავისი სიღრმით, ყოვლისმომცველობით, მეცნიერული და პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისით გამორჩეული და ორიგინალური ნიმუშეგარია. იგი მთლიანად პასუხობს ფინანსური მეცნიერების წინაშე დღევანდელი მითხოვნებს, რამეთუ მასში საცნობარო ლიტერატურის მითითების წესების დაცვით, ავტორი ცდილობს მკითხველს მიაწოდოს აგრეთვე ეროვნულ ეკონომიკაზე მსოფლიო გლობალური პროცესების შემოქმედების თავისებურებები, ფინანსების, საბანკო საქმისა და ინვესტიციების განვითარების ძირითადი ტენდენციები, სადაზღვევო სისტემების, საგადასახადო აპარატის, ბიუჯეტის, საგარეო და სახელმწიფო ვალის და სხვა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების კონცეფციებისა და თეორიების ამომწურავი, თანმიმდევრული ახსნა.

აღმზრდელი-მასწავლებლებისადმი მადლიერების გამოხატვით განთქმული პროფესორი ქალი ფინანსების ენციკლოპედიასაც თავის ამაგდარ პედაგოგებს — აკადემიკოსებს პაატა გუგუშვილს, ვასილ ჩანტლაძეს და პროფესორ გივი გამსახურდიას უძღვნის. ეს მისი განუმეორებელი ხელწერაა.

და კიდევ ერთი — მართალია, დღეს და შეიძლება მთელი ცხოვრებაც, საქართველოში ფინანსების დარგში პირველი დოქტორი ქალი მისგან დამოუკიდებელი მიხეზების გამო ჩრდილში დგას, მაგრამ იცით, მისთვის სიხარული რას მოაქვს? მის წიგნებს სტუდენტები ბიბლიოთეკებში რომ ეძებენ, უნივერსიტეტებში პროფესორ-მასწავლებლები მის სახელმძღვანელოებს და პროგრამებს რომ იყენებენ. ეკონომიკური პროფილის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში მისი მონოგრაფიები რომ დევს და მათით სარგებლობს სტუდენტი-ახალგაზრდობა ფინანსური მეცნიერების შესწავლისას.

მისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ ცოდნით გამორჩეულ ინტელექტუალ ბავშვებს ზრდის:

1992 წელს მისი დაარსებულია საქართველოში პირველი კერძო სკოლა; საუცხოო სტუდენტ-ი-ახალგაზრდების აღზრდას ემსახურებოდა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში თითქმის 30 წლის განმავლობაში. სხვა რაღას დაიტევს ერთი ადამიანის ცხოვრება!

როგორც ყველა ქართველის სულიერი მოძღვარი, მისი უწმინდესობა ილია მეორე ბრძანებს, რომ ყოველი ადამიანი სხვების მახარობელი და სხვათა გამხარებელი უნდა იყოს.

ქალბატონი ლამარა ქოქიაური, არ ვაჭარბებთ, ხალხის მსახური და სხვების მახარობელია თუნდაც იმიტომ, რომ თითქმის 2090 გვერდიანი, ათი წლის დაუღალავი შრომით შექმნილი ფინანსების ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი ბევრ ადამიანს მოუტანს სიხარულს. არ გადავაჭარბებთ და ვიტყვი, რომ იგი ყველა ფინანსისტიის სამაგიდო წიგნი გახდება.

ნანა ასლამაზიშვილი,

პროფესორი, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკის განყოფილების უფროსი.

მაყვალა სხირტლაძე,

პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

იაკობ მესხია,

პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბადრი გეგბაია

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ჟურნალ „ინოვაციური ეკონომიკა და მართვის“ მთავარი რედაქტორი.

ლოიდ ქარჩავა,

პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.

ავთანდილ ლომსიანიძე,

მთავარი სპეციალისტი.



გულნაზ ერქომაიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის წევრი, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და განვითარების ცენტრის (აშშ-ს ეკონომიკური განვითარების ეროვნული საბჭოს პარტნიორი ორგანიზაცია საქართველოში) ექსპერტი, მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო კომიტეტის წევრი საქართველოდან.

მას გამოეყენებოდა აქვს 110-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია და სახელმძღვანელოები. ერთმა მათგანმა („ბიზნესი – ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები“) დაამთავრა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და შურნალ საქართველოს ეკონომიკის პრემია.

იგი მონაწილეობდა ბრუნელის (ლონდონი) უნივერსიტეტის, დუბლინის (ირლანდია) უნივერსიტეტის ტრინიტი კოლეჯის, პარიზის, რომის, მადრიდის, ბარსელონის, დუბაის (მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემია), კეგო - მოვილიანის აკადემიის (უკრაინა), მედიტერანული უნივერსიტეტის (უკრაინა), ტრაპიზონის (თურქეთი) მადე სდვის უნივერსიტეტის და სხვა სერთიფორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პროექტებში. ამჟამად კათედრის ლექციებს შედევს სასწავლო კურსებში: ეკონომიკური პოლიტიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 2, მენეჯმენტის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა (მაკროეკონომიკა), რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, ფირმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა (მაკროეკონომიკა).

**საქართველოს განვითარების
ეკონომიკური პოლიტიკის
პრიორიტეტული მიმართულებები**

თბილისი
2016

**საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის
პრიორიტეტული მიმართულებები**

წიგნში გადმოცემულია საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. მასში განხილულია ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მისი განხორციელების შესაძლებლობები გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში: ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა, აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტები, ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობების სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016 – 147 გვერდი.

ISBN 978-9941-22-717-2



ეფემენი ბარათაშვილი,
მანანა მარიდაშვილი,
თამარ ლაგაზიძე, ირმა მანსარაშვილი
შედარებითი მენეჯმენტი
და კლასტირიზაცია

შედარებითი მენეჯმენტი მენეჯმენტის თეორიის შემადგენელი ნაწილია, რომლის ჩარჩოებშიც განიხილება სხვადასხვა კულტურების წარმომადგენელთა ურთიერთქმედებების კანონზომიერებანი საწარმოთა მართვის სისტემებში. შედარებითი მენეჯმენტის, როგორც სასწავლო კურსის, მთავარი მიზანია წარმოების მენეჯერების მიერ ბიზნესის მართვის ეფექტიანობის გაზრდა საწარმოში დასაქმებულების, ბიზნესპარტნიორებისა და იმ ქვეყნების ნაციონალურ-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, სადაც ბიზნესი ხორციელდება.

შედარებითი მენეჯმენტს აქვს მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მიზნები. მისი კორექტული გამოყენება ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურების წარმომადგენელთა ურთიერთდობისა და სიმპათიების ზრდას ერთმანეთის მიმართ.



სახელმძღვანელოში ავტორები შეეცადნენ, მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, განეხილათ შედარებითი მენეჯმენტის პრინციპული საკითხები კლასტერიზაციის საფუძველზე. ავტორები ეყრდნობიან კლასტერული კლასიფიკაციის ყველაზე უფრო მიღებულ და უკვე აპრობირებულ მეთოდს – ქვეყნების ეკონომიკების გახსნილობისა და გამჭვირვალების დონეს და კლასტერების შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების შეფასებას კლასტერის გეოგრაფიული ცენტრიდან დაშორების მიხედვით. კლასტერულ ჭრილში განხილულია, თუ რამდენად ახლოსაა ამა თუ იმ ქვეყნის მენეჯმენტი კლასტერის შიდა დამახასიათებელ მაჩვენებელთან, რომლის შემადგენლობაშიც მოიაზრება.

კლასტერიზაციის კონტექსტში შედარებითი მენეჯმენტის განხილვამ ავტორებს საშუალება მისცა, შეემუშავებინათ რეკომენდაციები, რომლებზე დაყრდნობით მომავალი სპეციალისტები შეძლებენ, გამოიმუშავონ მულტინაციონალური კოლექტივების მართვის პრაქტიკული ხედვა.

სახელმძღვანელო დაეხმარება ყველას, ვინც სწავლობს საერთაშორისო და ნაციონალურ მენეჯმენტს ქვეყნების ან კლასტერების მიხედვით.

პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“, 2016 — 574 გვერდი.

ISBN 978-9941-9420-2-0



ვეგენი ბარათაშვილი, მანანა მარიდაშვილი, ლამა ბაგრატიონი, ირმა მახარაშვილი

მენეჯმენტი

წიგნი I და II


სახელმძღვანელოში განხილულია ახალ სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბებული მენეჯმენტი თავისი ნაირსახეობებით, როგორც არის: სერვისმენეჯმენტი, შედარებითი მენეჯმენტი, მოტივაციური მენეჯმენტი, ხარისხისა და ბიზნესის შეფასების მენეჯმენტი, რეგიონული მენეჯმენტი, ქალაქის მენეჯმენტი, უპირატესობის მენეჯმენტი, ანტიკრიზისული მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, კლასტერული მენეჯმენტი, ცოდნის მენეჯმენტი, კონფლიქტის მენეჯმენტი, გუნდური მუშაობის მენეჯმენტი და სხვ. სახელმძღვანელოში კომპლექსურადაა გადმოცემული მენეჯმენტის ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები; განზოგადებული და გაანალიზებულია მენეჯმენტისა მდიდარი უცხოური გამოცდილება ჩვენი ქვეყნის რეალობასთან მისი ადაპტირების მცდელობით.

სახელმძღვანელოს ახლავს რამდენიმე დანართი, რომელშიც წარმოდგენილია მსოფლიო მენეჯმენტის კლასიკოსების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და მათი მენეჯერული საქმიანობის ამსახველი სპეციფიკური გამონათქვამები, რომლებიც ერთიორად ზრდის სახელმძღვანელოს გაცნობის ინტერესს და დანიშნულებას.

სახელმძღვანელო წარმოდგენილია ორ წიგნად და მოიცავს 21 თავს. განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისა და ბიზნესმენებისათვის, საკუთრების ნებისმიერი ფორმის ორგანიზაციების უმაღლესი და საშუალო მმართველობითი რგოლის ხელმძღვანელებისათვის, აგრეთვე ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016 — წიგნი I — 606 გვერდი, წიგნი II — 566 გვერდი

ISBN 978-9941-0-8423-2; 978-9941-0-8423-9;



ევგენი ბარათაშვილი, ლაშა ბაგრატიონი,
თეა კვაბჭირიძე, ირაკლი გაბისონია,
მანანა მარიდაშვილი

**სახელმწიფო ინვესტიციების
ეკონომიკურ-სამართლებრივი
რეგულირება**

სახელმწიფო ინვესტიციების
ეკონომიკურ-სამართლებრივი
რეგულირება

სახელმძღვანელოში განხილულია სახელმწიფო საინვესტიციო საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის თეორიული ასპექტები, მისი რეალიზაციის ძირითადი ფორმები და მნიშვნელობა. შესწავლილია სახელმწიფოს საინვესტიციო სფეროში არსებული საფინანსო-საინვესტიციო სამართლებრივი ურთიერთობები. მოცემულია საინვესტიციო სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის გზები, გაშუქებულია სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტები და სახელმწიფო საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანი ფინანსური ინფრასტრუქტურის ფორმირების ვარიანტები. ყურადღებაა გამახვილებული სახელმწიფო ინვესტიციების დანიშნულების ეკონომიკურ შინაარსზე და სხვ.

სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, ასევე დაეხმარება უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებსა და ინვესტიციების მართვის საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016 — 200 გვერდი.

ISBN 978-9941-0-8426-3

ინოვაციური ეკონომიკა და მართვა

INNOVATIVE ECONOMY AND MANAGEMENT

ИНОВАЦИОННАЯ ЭКОНОМИКА И УПРАВЛЕНИЕ

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: www.nier.ge
ელ. ფოსტა: nierbat@gmail.com
ანგისის ქ. 15. ბათუმი. 6010
ტელეფონი: (+995) 593 72-21-15; (+995) 591 98-03-80

The online version of the journal is available on the website:
www.nier.ge
E-mail: nierbat@gmail.com
15 Angisa Sht. Batumi. 6010
Phone: (+995) 593 72-21-15; (+995) 591 98-03-80

კომპიუტერული უზრუნველყოფა — მ. ბალავაძე
ტექსტის კორექტურა — ნ. კუპრაშვილი
ქაღალდის ზომა — 60/84

ჟურნალი დაიბეჭდა გამომცემლობა „კალმოსანიში“
E-mail: Kalmosani@yahoo.com
ტელეფონი: 571 19-19-39

